პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

№ 84 (11695)
შაბათი
9
აპრილი
1960 წ.

ფასი 20 კაპ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ჩვენ მივაღწევთ კომუნისტური შრომის გამარჯვებას!

ლენინური შრომითი ვახტი

სამშობლოს ზეგეგმითი პროდუქცია

ხაშური. (საკ. კორ.). ამ ცოტა ხნის წინათ ხაშურის სალოკომოტივო დეპოში შეიქმნა ლენინის სახელობის ელმავალთა კოლონა. ამ კოლონაში შედის მოწინავე მემანქანის ზ. თუთისანის ელმავლის ბრიგადაც. მოწინავე მემანქანემ კოლონის შექმნის შემდეგ უკვე გადაზიდა 750 ტონა ზეგეგმითი სახალხო-სამეურნეო ტვირთი.

ბოლნისი. (საკ. კორ.). ბოლნისის მაღარომშენის სამმართველოს კოლექტივმა 20 მარტისათვის გაანაღდა კვარტალის დავალება. მშენებლებმა დაზოგეს და შვიდწლედის ფონდში შეიტანეს მილიონ მანეთზე მეტი. განსაკუთრებით კარგად იმუშავა სამთო უბანმა, რომელსაც ა. ავაქოვი ხელმძღვანელობს. უბნის კოლექტივმა იკისრა 5 თვის დავალება 22 აპრილისათვის შეასრულოს.

ცხინვალი. (საკ. კორ.). ხალინის ფაბრიკის კოლექტივმა 108,6 პროცენტით შეასრულა პირველი კვარტალის დავალება. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 3.285 კვადრატული მეტრი ხალიჩა. ფაბრიკის კოლექტივმა გადაწყვიტა 4 თვის გეგმა 22 აპრილისათვის გაანაღდოს.

ჭიათურელთა საჩუქრები

ჭიათურა. (საკ. კორ.). მაღაროელები ლენინურ შრომითს ვახტზე დგანან და ახალ საწარმოო საჩუქრებს ამზადებენ ვ. ი. ლენინის დაბადების 90 წლისთავისათვის. სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ სტალინის, კალინინის და დიმიტროვის სახელობის მაღაროების კოლექტივები, რომლებმაც ვადამდე შეასრულეს პირველი კვარტალის გეგმები, მათ აპრილის ანგარიშში უკვე ათასობით ტონა მარგანეცი დაამზადეს.

თავდადებულად შრომობენ წარჩინებული მაღაროელები შ. აბრამიშვილი, მ. დეტუნიშვილი, ი. ჩაგელიშვილი, ტ. ჭიღლაძე, ბ. აბრამიშვილი, გ. ღავთაძე და სხვები. ისინი ახლა მაისის გეგმის შესრულებისათვის იბრძვიან.

სტალინის, კალინინის და დიმიტროვის მაღაროთა კოლექტივებმა მეტალურგიულ ქარხნის გეგმის გადამეტებით უკვე გაუგზავნეს მარგანეცით დატვირთული რამდენიმე ეშელონი.

„სახელოვანი მეშახტის“ ნიშანი

„სახელოვანი მეშახტის“ ნიშანი რამდენიმე წლის წინათ დაწესდა. არსებობს „სახელოვანი მეშახტის“ პირველი, მეორე და მესამე ხარისხის ნიშანი. საპატიო ნიშნით ჯილდოვდებიან ქვანახშირის მრეწველობის მუშაკები, რომლებიც მაღალ შემოქმედებითს აქტივობას იჩენენ, წარმოების ნოვატორები, ადამიანები, რომლებიც ბევრს აკეთებენ ქვანახშირის მრეწველობის განვითარებისათვის. ამჟამად ჩვენს ქვეყანაში ითვლება „სახელოვანი მეშახტის“ ნიშნით დაჯილდოებული ათი ათასამდე მაღაროელი.

ამ დღეებში პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა გადაწყვიტა საპატიო ნიშნით დაჯილდოოს ორასამდე პროფკავშირული აქტივისტი კავშირის 40 წლისთავთან დაკავშირებით.



ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ნ. ს. ხრუშჩოვი — საპატიო მეშახტე

ქვანახშირის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის VI ყრილობის დელეგატთა მიღებაზე. ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი ხელს ართმევს კომბინატ „სტალინუგოლის“ ჩელიუსკინელთა სახელობის შახტის პროფკომის თავმჯდომარეს ა. გ. შჩერბინს.

ფოტო ს. გურარიისა.

1960 წლის 4 და 5 აპრილს მოსკოვში კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში მიმდინარეობდა სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის მუშათა პროფესიული კავშირის მორიგი VI ყრილობა. ამ შენობაში 40 წლის წინათ გაიმართა მაღაროელთა პროფკავშირის პირველი დამფუძნებელი ყრილობა, რომელმაც დასაბამი მისცა საბჭოთა მაღაროელების პროფკავშირის არსებობას.

გაითვალისწინა რა ნ. ს. ხრუშჩოვის უდიდესი დამსახურება ჩვენი ქვეყნის ქვანახშირის მრეწველობის განვითარებაში და მუდმივი ზრუნვა საბჭოთა მაღაროელებისათვის, ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის VI ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება მიენიჭოს უხუცეს დონეცელ მეშახტეს ამხანაგ ხრუშჩოვს „საპატიო მეშახტის“ წოდება და დაჯილდოებულ იქნას იგი I ხარისხის „სახელოვანი მეშახტის“ ნიშნით.

7 აპრილს VI ყრილობის დელეგატთა ჯგუფი ეწვია ნ. ს. ხრუშჩოვს კრემლში. დელეგაციის სახელით ქვანახშირის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ ი. მ. ვლადიჩენკომ გულითადად მიულოცა ნიკიტა სერგის-ძეს საპატიო წოდების მინიჭება. უხუცესმა მეშახტემ სოციალისტური შრომის გმირმა ზოვინ-პირეთის ქვანახშირის კომბინატის უფროსმა ა. ს. ალილუევმა ამხანაგ ხრუშჩოვს გადასცა „საპატიო მეშახტის“ დიპლომი და სამკერდე ნიშანი, აგრეთვე I ხარისხის „სახელოვანი მეშახტის“ ნიშანი.

ნ. ს. ხრუშჩოვმა გულითადი მადლობა გადაუხადა ამხანაგებს მისი მოღვაწეობის მაღალი შეფასებისათვის.

ნ. ს. ხრუშჩოვსა და ყრილობის დელეგატთა ჯგუფს შორის, რომელშიც შედიოდნენ ამხანაგები ე. ი. დროზდეცკი, ა. გ. შჩერბინა, მ. ი. ბელიცკი, ნ. ს. მოროზოვი, ც. სიზდიკოვი, პ. კ. პოდყაროვი, დ. ზ. დოვგი, პ. მ. კაჩანოვი, ლ. ა. ბისტროვი, ი. პ. კრასოზოვი, ი. ი. კოპანიცა, პ. ა. კავალეროვი, ნ. ი. კომოგორცევი, დ. ი. გოლოშჩაპოვი, წარჩინებული მეშახტეები, მოწინავე საწარმოებისა და ქვანახშირის ზოგიერთი კომბინატის ხელმძღვანელები, გაიმართა გულთბილი საუბარი, რომელმაც საათზე მეტს გასტანა.

ნ. ს. ხრუშჩოვს აინტერესებდა, როგორ მუშაობს ამჟამად ქვანახშირის მრეწველობა, დიდი ინტერესით გაეცნო იმ საკითხებს, თუ რამდენად ხორციელდება მექანიზაცია და ავტომატიზაცია განსაკუთრებით ქვანახშირის ამოღებისა და გვირაბების გაყვანის შრომატევად და მძიმე სამუშაოებზე, გამოიკითხა, როგორ ცხოვრობენ და ისვენებენ მეშახტეები.

ყრილობის დელეგატებმა — ქვანახშირის კომბინატების მუშებმა და ხელმძღვანელებმა ყველა მაღაროელის სახელით უღრმესი მადლობა გამოთქვეს კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და პირადად ნ. ს. ხრუშჩოვისადმი ქვანახშირის მრეწველობის განვითარებასა და საბჭოთა მეშახტეების ცხოვრების გაუმჯობესებაზე დაუცხრომელი ზრუნვისათვის. ხელფასის გარდაქმნისა და საპენსიო განაკვეთების გადიდების მეოხებით, მეშახტეთა შემოსავალი ამ ბოლო დროს მნიშვნელოვნად გადიდდა, მეშახტეთა დაბებსა და ქალაქებში მიმდინარეობს დიდი საბინაო მშენებლობა. ქვანახშირის მრეწველობა კარგად მუშაობს. ქვანახშირის ამოღების გეგმა სისტემატურად გადაჭარბებით სრულდება. შახტებში და მშენებლობებზე ფართოდ იყენებენ ახალ, მაღალი წარმადობის ტექნიკას, რომელმაც ძირეულად გაუუმჯობესა მეშახტეთა ცხოვრების პირობები და შეუმსუბუქა მათ შრომა. ინჟინრებმა და ტექნიკოსებმა მეცნიერებთან და მოწინავე მუშებთან თანამეგობრობით შექმნეს შესანიშნავი კომბაინები და სხვა მანქანები, რომელთა საშუალებით დაჩქარდება ჭაურების კვერშლაგებისა და სხვა გვირაბების გაყვანის ტემპები, აგრეთვე მექანიზებულ იქნება ქვანახშირის ამოღების მთელი რიგი მძიმე სამუშაოები.

ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა საბჭოთა კავშირის მეშახტეებს უსურვა შემდგომი დიდი წარმატებები მათს კეთილშობილურ შრომაში და გამოთქვა რწმენა, რომ მაღაროელები ვადამდე შეასრულებენ შვიდწლიანი გეგმის დავალებებს და დიდ წვლილს შეიტანენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის საქმეში. მან უსურვა მეშახტეებს უფრო სწრაფად აუმჯობესონ ქვანახშირის ამოღების ტექნიკა და ტექნოლოგია, ფართოდ განახორციელონ კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია შახტებში და მშენებლობებზე, მიაღწიონ შრომის ნაყოფიერების გადიდების უფრო მაღალ ტემპებს და ამ საფუძველზე შემდგომ გააუმჯობესონ მეშახტეთა მატერიალური კეთილდღეობა.

საუბრის მონაწილეებმა მეშახტურად მაგრად ჩამოართვეს ხელი ნ. ს. ხრუშჩოვს, უსურვეს მას ჯანმრთელობა და მრავალი წლის სიცოცხლე ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ და ყველა ხალხთა შორის მეგობრობისა და მშვიდობის განმტკიცებისათვის.

ნ. ს. ხრუშჩოვმა სთხოვა გადასცენ მხურვალე სალამი ჩვენი ქვეყნის ყველა მეშახტეს.

საუბარში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ა. თ. ზასიადკომ, საკავშირო პროფსაბჭოს მდივანმა ა. ბ. ბულგაკოვმა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მძიმე მრეწველობის განყოფილების გამგემ ა. პ. რუდაკოვმა.

ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲐᲓᲘ ᲫᲐᲦᲐ

ᲐᲮᲚᲝᲜᲓᲔᲑᲐ დიდი ლენინის დაბადების 90 წლისთავი. ჩვენი ქვეყნის მუშები, კოლმეურნეები, მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის მოღვაწეები, ყველა შრომელი ისწრაფვიან ახალი შრომითი გამარჯვებებით აღნიშნონ სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებლის ვ. ი. ლენინის დაბადების წლისთავი.

ჩვენი ხალხი მომავალი ბედნიერი ცხოვრების შემოქმედი, მშენებელია. მას ღრმად აქვს შეგნებული, რომ შრომის ნაყოფიერების სწრაფი და მნიშვნელოვანი ზრდა, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება, ზეგეგმითი დანაზოგები იმის მთავარი, გადამწყვეტი პირობაა, რომ მძიმე ინდუსტრიის შემდგომი განვითარების ბაზაზე წარმატებით განხორციელდეს სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისა და სახალხო მოხმარების საგნების წარმოების გრანდიოზული პროგრამა, რომელიც კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ შვიდწლიანი გეგმით დასახეს.

ვ. ი. ლენინის დაბადების 90 წლისთავისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში სასახელო მაჩვენებლებს აღწევენ რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები. ბევრგან ვადამდე შეასრულეს პირველი კვარტალის დავალება, ამაღლდა შრომის ნაყოფიერება, მნიშვნელოვნად შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება, დაზოგილია დიდძალი მასალები და სათბობი, მიღებულია ზეგეგმითი დანაზოგები. რესპუბლიკურ ფონდში შეტანილია მრავალი მილიონი მანეთი.

პირველ კვარტალში შესანიშნავი წარმატება მოიპოვა რუსთავის ცემენტის ქარხნის კოლექტივმა. ვადამდე შეასრულა პირველი კვარტალის გეგმა ყველა მაჩვენებლის მიხედვით, შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში შეიტანა 1 მილიონი მანეთი. 100 ათასი მანეთი შეიტანა რესპუბლიკურ ფონდში ტყიბულის სტალინის სახელობის შახტის კოლექტივმა, ხოლო ჟუთაისის საკონსერვო ქარხნის კოლექტივმა — 250 ათასი მანეთი.

მოწინავე საწარმოთა კოლექტივები ახლა თავდადებულად მუშაობენ იმისათვის, რომ 4 თვის გეგმა დიდი ლენინის დაბადების 90 წლისთავისათვის შეასრულონ და რესპუბლიკური ფონდი კიდევ უფრო გაამდიდრონ ახალი დანაზოგებით.

ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲖᲔᲘᲛᲘ

24 მარტი სასიხარულო დღე იყო თბილისის ქარხანა „ელექტროავტომატის“ ახალგაზრდული კოლექტივისათვის, რომელმაც ამ დღეს გადაჭარბებით შეასრულა პირველი კვარტალის დავალება.

ეს გამარჯვება განაპირობა წარმოებაში ავტომატიზაციისა და მექანიზაციის დანერგვამ. წელს დაამონტაჟეს და საექსპლოატაციოდ გადასცეს ავტომატების ასაწყობი ნაკადური ხაზები. გაუმჯობესდა წარმოების ტექნოლოგიური პროცესები.

ტექნიკის სიახლეთა დანერგვაში თავისი წვლილი შეაქვთ რაციონალიზატორებს. ზეინკალ რ. მინასიანის წინადადებით ახლა სამი სხვადასხვა დეტალის გამოჭრა წარმოებს ერთი თარგით, რითაც დიდძალი ფერადი ლითონი იზოგება. ინჟინერ ქ. ხუციევის წინადადებით ელექტრომაგნიტური გუდა, რომელიც წინათ ათი თხელი ფირფიტისაგან კეთდებოდა, ახლა ერთი ფირფიტისაგან მზადდება. ეს სიახლე საწარმოს წელიწადში 50 ათას მანეთს უზოგავს.

ქარხანაში შრომის ნამდვილი ზეიმია. ახალგაზრდული კოლექტივი ლენინურ შრომითს ვახტზე დგას. დაუღალავად იბრძვის პროდუქციის გამოშვების გადიდებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესებისათვის. წუხს ვერ დადებთ ზეინკალ ზ. შავიშვილის, მეხეავ ბ. სირაძის, დამყალიბებელ ი. სართანიას, მბურღავ მ. მშველიძის და სხვების მიერ დამზადებულ პროდუქციას. ისინი საწარმოო დავალებებს 200-300 პროცენტით ასრულებენ.

ᲮᲣᲗᲘ ᲗᲕᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ — 22 Ა�პᲠᲘᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

თერჯოლა. (საკ. კორ.). მაღალნაყოფიერად შრომობს ჩხარის იატაკისა და კედლის ფილების ქარხნის კოლექტივი. იგი ახალ საწარმოო საჩუქრებს ამზადებს დიდი ლენინის დაბადების 90 წლისთავისათვის.

ქარხნის კოლექტივმა ვადამდე შეასრულა პირველი კვარტალის დავალება და 25 მარტისათვის გეგმის გადამეტებით გამოუშვა 400 ათას ცალზე მეტი ფილა.

წელს აქ აითვისეს ელექტროგაყვანლობის კოჭებისა და სააფთიაქო ჭილების დამზადება. მარტო წელს გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 200 ათასი ცალი ელექტროგაყვანილობის კოჭი და 80 ათასი სააფთიაქო ჭილა.

ქარხანაში კომუნისტური შრომის სახელწოდებისათვის ენერგიულად იბრძვიან ვ. აბულაძისა და უ. არაბიძის ბრიგადები. წარჩინებული მუშები ვ. მიხელიძე, მ. სოფრომაძე, ს. არაბიძე, ა. კახიძე, კ. პატარიძე, გ. თორთლაძე, ვ. ჭანტურიძე, ლ. ჩიტიძე, ვ. ჯიშიაშვილი, მ. აბულაძე, ი. აბჟანდაძე და სხვები ყოველდღიურ დავალებებს 140-150 პროცენტით ასრულებენ.

ინჟინერ ს. ამირანაშვილის წინადადებით მასის დამამზადებელ საამქროში დაიდგა ქქვსგვერდიანი მბრუნავი საცერი, რომელიც ამცირებს ელექტროენერგიის ხარჯს, მუშახელს, მტვრიანობას და აჩქარებს საწარმოო პროცესს. თუ წინათ ოთხი ტონა თიხის გადამუშავებას რვა საათი სჭირდებოდა, ახლა ეს საქმე ორნახევარ საათში კეთდება. ეს დანადგარი ადგილობრივ სახელოსნოში დამზადდა და ქარხნის სპეციალისტებმა დაამონტაჟეს. ზეინკალ ვ. მშველიძის წინადადებით ერთობუდიანი საწნეხი ორბუდიანად გადაკეთდა და ამით წარმადობა ორჯერ გაიზარდა.

ქარხნის კოლექტივის ვალდებულებაა ხუთი თვის გეგმა 22 აპრილისათვის შეასრულოს და საპირველმაისოდ გეგმის ზევით ორასიათასი ცალი ფილა გამოუშვას.

ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐᲡ ᲛᲝᲡᲚᲓᲔᲕᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ზესტაფონი. (საკ. კორ.). ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივი, რომელიც ზაპროჟიეულ მეტალურგებს ეჯიბრება, იმისათვის იბრძვის, რომ ახალი საწარმოო გამარჯვებებით შეხვდეს დიდი ლენინის დაბადების 90 წლისთავს. ზესტაფონელმა მეტალურგებმა მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვეს. მათ 28 მარტისათვის შეასრულეს ლითონის გამოდნობის პირველი კვარტალის დავალება. კარგა ხანია ზეგეგმითს შენადნობს იძლევა მეორე საამქროს კოლექტივი, რომელსაც გამოცდილი ინჟინერ-მეტალურგი შ. თედოზაშვილი ხელმძღვანელობს.

მეტალურგები შ. ბოჭორიშვილი, ბ. წიქარიშვილი, ბ. გამგებელი, ნ. ბოგვერაძე, ო. ქათამაძე, მ. ფერაძე, ო. გაჩეჩილაძე და სხვები ლითონის გამოდნობის დავალებს გადაჭარბებით ასრულებენ.

ᲑᲐᲠᲐᲥᲘᲐᲜ ᲕᲔᲦᲖᲔ

ვაზისუბნის კოლმეურნეობის ბაღ-ვენახებში, მინდვრებში ყოველდღე ხუთასზე მეტი კოლმეურნე მუშაობს. მეძინდვრეობის კომპლექსური ბრიგადის მეთაური გიორგი რუსიშვილი მკაცრი მომთხოვნია. სიზარმაცეს არავის აპატიებს.

ამიტომ არის, რომ სამუშაო სწრაფად და უნაკლოდ სრულდება. ბრიგადამ ოც ჰექტარზე პირუტყვის საკვები ჭარხალი დათესა. შარშან ყოველ ჰექტარზე ოთხასი ცენტნერი მოსავალი მიიღეს, გეგმა კი სამასზე მეტს არ ითვალისწინებდა. წელს ამას საკმარისად არ თვლიან, საშუალოდ ჰექტარზე ხუთასი ცენტნერი ჭარხლის მიღება იკისრეს.

ტრაქტორისტმა არჩილ გოჩინაშვილმა ვაზისუბანში 28 წლის წინათ აგაგუნა „ფორდზონა“. მას შემდეგ ტრაქტორისა და კომბაინის საჭისათვის ხელი არ გაუშვია. მის მიერ დამუშავებულ ნაკვეთებში, რომ იტყვიან, მოსავალი ზღვად სკდება. არც მექანიზატორებს გ. ორუთინოვს, რ. შაქარაშვილსა და გ. ღარიბაშვილს აქვთ სასაყვედურო. დავალებას ორმაგად ასრულებენ, საწვავს ცოტას ხარჯავენ, კოლმეურნეობის ხვნასა და ბარაქას ამრავლებენ.

ვაზისუბნელმა მექანიზატორებმა მანუკოვსკის მაგალითისამებრ წელს კომპლექსური მექანიზაციით ასი ჰექტარი სიმინდის დამუშავება და თითეულ ჰექტარზე 70 ცენტნერის (მარცვლად) მიღება იკისრეს.

ხვნა გურჯაანის რაიონის სხვა კოლმეურნეობებშიც სწრაფად მიმდინარეობს. ქაჩრეთის, ქოდალოს, ზიარის, ჩალაუბნისა და სხვა კოლმეურნეობებში საკვები ჭარხლის თესვა დაამთავრეს, მზესუმზირა დათესილია ასობით ჰექტარზე. დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის დაბადების 90 წლისთავისათვის რაიონში ყველა კულტურის თესვა დამთავრდება.

ს. ჭოჩლაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ჭიათურის მარგანეცის ტრესტის სტალინის სახელობის მაღაროთსამმართველოს მბურღავი ბ. დოლიძე ლენინურ შრომითს ვახტზე დადგა და ყოველდღიურ საწარმოო დავალებებს 160 პროცენტით ასრულებს.

სურათზე: მბურღავი ბ. დოლიძე.

ფოტო ს. ონანოვისა და ი. ბეჟაშვილისა (საქდუსის ფოტოქრონიკა).

Ა. Ი. ᲛᲘᲙᲝᲘᲐᲜᲘ ᲑᲐᲦᲓᲐᲓᲨᲘ

8 აპრილს დილით მოსკოვიდან „ილ-18“ თვითმფრინავით ბაღდადს გაეგზავნა საბჭოთა სამრეწველო გამოფენის გასახსნელად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიკოიანი.

ერაყში მოგზაურობის დროს ა. ი. მიკოიანს ახლავან საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ი.ფ. სემიჩასტნოვი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების განყოფილების გამგის მოადგილე ა. დ. შჩიბორინი.

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვნუკოვოს აეროდრომზე ა. ი. მიკოიანი გააცილეს ამხანაგებმა ნ. ა. მუხიტდინოვმა, ა. ნ. კოსიგინმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ დ. თ. უსტინოვმა, სსრ კავშირის მინისტრებმა ა. ა. გრომიკომ, ი. გ. კაბანოვმა, ს. ვ. კუტრაშოვმა, მ. ა. ლესეჩკომ, ნ. ა. მიხაილოვმა, კ. დ. პეტუხოვმა და სხვებმა.

გამცილებელთა შორის იყვნენ ერაყის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში აბდელ ვაჰაბ მაჰმუდი და ერაყის საელჩოს თანამშრომლენი. (საკდესი).

• • •

ბაღდადი, 8 აპრილი. **(საკდესის სპეც. კორ.).** საბჭოთა სამრეწველო გამოფენის გასახსნელად დღეს მოსკოვიდან თვითმფრინავით „ილ-18“ ბაღდადს ჩამოვიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიკოიანი.

„ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗ-ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ“ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲓᲔᲞᲔᲨᲐ

„სსრ კავშირ-საფრანგეთის“ საზოგადოებამ მიიღო შემდეგი დეპეშა:

იმ მომენტში, როცა საფრანგეთში ყოფნის შემდეგ სსრ კავშირში დაბრუნდა თავმჯდომარე ხრუშჩოვი, რომლის მოხარულია ყველა ფრანგი, გამოვთქვამთ კმაყოფილებას მისი მოგზაურობისა და საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტთან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის შეხვედრების საუცხო შედეგების გამო. ამ მოგზაურობამ და მოლაპარაკებამ შესაძლებლობა მისცეს საბჭოთა მთავრობის მეთაურს შეეფასებინა ჩვენი ხალხის მხურვალე მისწრაფება მშვიდობისადმი და მეგობრული გრძნობები, რომლებითაც იგი გამსჭვალულია საბჭოთა კავშირისადმი. მათ შესაძლებლობა მისცეს ფრანგებს კვლავ ჩაფიქრებოდნენ იმას, რომ საჭიროა დაეუბრუნდეთ ორივე ქვეყნის ტრადიციულ კავშირს, ჩაფიქრებოდნენ სსრ კავშირის მშვიდობიან მისწრაფებებს და საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობისა და თანამშრომლობის დიდმნიშვნელოვან როლს საფრანგეთის აყვავებისათვის, ევროპისა და მთელი მსოფლიოს უშიშროებისა და მშვიდობის განმტკიცებისათვის.

„საფრანგეთ-სსრ კავშირის“ საზოგადოება ყველა ფრანგთან ერთად კმაყოფილებას გამოთქვამს იმ ღონისძიებათა გამო, რომლებიც მიღებულია იმ მიზნით, რომ გაფართოვდეს გაცვლა, იმ პერსპექტივების გამო, რომ დამყარდეს საბჭოთა და ფრანგი მეცნიერების მჭიდრო თანამშრომლობა ატომური ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში ან მედიცინის დარგში კიბოს და ლეიკომიის დაავადებებთან ბრძოლისათვის. „საფრანგეთ-სსრ კავშირის“ საზოგადოებას საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეში დიდმნიშვნელოვან წვლილად მიაჩნია ერთობლივი კომუნიკე, რომელიც მიღებულია ხრუშჩოვთან დე გოლს. მოლაპარაკების შედეგად და რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს ვიქონიოთ იმედი, რომ გონივრულად მოწესრიგდება საერთაშორისო საკითხები, კერძოდ, განიარაღების პრობლემა და გერმანიის პრობლემა, რომლის გადაჭრა პირველ რიგში აინტერესებს საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს.

გთხოვთ გადასცეთ საბჭოთა ხალხს უაღრესად გულითადი სალამი.

„საფრანგეთ-სსრ კავშირის“ საზოგადოების
ეროვნული კომიტეტის სახელით
გენერალი პეტი.

რძის წარმოება საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში

1960 წლის 1 აპრილისათვის

საშუალო ნაწველი — კილოგრამობით.

	1960 წლის 1 აპრილისათვის	1959 წლის 1 აპრილისათვის	+ გადიდება — შემცირება
სულ რესპუბლიკაში	261	228	+ 33
აქედან:			
რაიონება-რძის საშუალო ნაწველის ოდენობით 1960 წლის 1 აპრილისათვის:			
ბათუმის	656	599	+ 57
ქობულეთის	480	391	+ 89
მახარაძის	440	365	+ 75
წითელწყაროს	408	350	+ 58
თეთრი წყაროს	400	292	+ 108
ბოლნისის	376	333	+ 43
საგარეჯოს	370	357	+ 13
ბოგდანოვკის	368	355	+ 13
დმანისის	358	351	+ 7
ტყიბულის	358	309	+ 49
გურჯაანის	347	346	+ 1
ორჯონიკიძის	341	220	+ 121
ლაგოდეხის	327	284	+ 43
ახალქალაქის	321	293	+ 28
წყალტუბოს	321	215	+ 106
წალკის	311	334	— 23
თერჯოლის	305	237	+ 68
მცხეთის	301	283	+ 18
ზესტაფონის	299	205	+ 94
თელავის	280	261	+ 19
ხაშურის	280	181	+ 99
ლანჩხუთის	275	209	+ 66
სიღნაღის	274	246	+ 28
ყვარლის	274	241	+ 33
ქარელის	269	203	+ 66
გეგეჭკორის	267	155	+ 112
სამგორის	266	286	— 20
ახმეტის	263	262	+ 1
დუშეთის	261	234	+ 27
მარნეულის	256	252	+ 4
ჩოხატაურის	255	243	+ 12
საჩხერის	251	193	+ 58
ამბროლაურის	240	199	+ 41
გაგრის	239	189	+ 50
გორის	237	194	+ 43
ზუგდიდის	228	191	+ 37
სტალინირის	222	231	— 9
თიანეთის	222	181	+ 41
ახალციხის	216	182	+ 34
ქედის	214	140	+ 74
ვანის	213	165	+ 48
ადიგენის	211	160	+ 51
წულუკიძის	208	187	+ 21
ასპინძის	207	217	— 10
ზნაურის	205	200	+ 5
კასპის	197	143	+ 54
მესტიის	195	153	+ 42
ონის	193	178	+ 15
აბაშის	189	177	+ 12
წალენჯიხის	188	128	+ 60
სამტრედიის	182	184	— 2
ლენინგორის	174	163	+ 11
ქალ. ჭიათურა	174	130	+ 44
ჩხოროწყუს	172	105	+ 67
ჯავის	171	180	— 9
ცაგერის	165	151	+ 14
ცხაკაიას	164	159	+ 5
ბორჯომის	161	123	+ 38
ხულოს	152	109	+ 43
ყაზბეგის	147	149	— 2
გალის	144	105	+ 39
სოხუმის	142	121	+ 21
მაიაკოვსკის	142	102	+ 40
შუახევის	139	102	+ 37
ზაბის	130	121	+ 9
ოჩამჩირის	124	123	+ 1
გუდაუთის	108	101	+ 7
ლენტეხის	83	114	— 31
აჭარის ასსრ	298	228	+ 70
სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქი	197	198	— 1
აფხაზეთის ასსრ	141	121	+ 20

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო

□ ტემპი — ეპოქის შესაფერი ... — მეგობგროგის ხიდი □ წიწვიან ტყეში პარვეგის ქალაქი □ გზა ჩაეფლობა მწვანეში □ წინანდლის ზვრეგის საუნჯე

მეგობგროგის გზეგზე

□

ჩვენი ქვეყანა იზიდავს უცხოელ ტურისტებს

□

მოსკოვში მანეჟის მოედანზე სასტუმრო „ნაციონალის“ დიდ ვიტრინებზე მოწყობილია ფოტოგამოფენები შემდეგ თემებზე: „საბჭოთა ტურისტები საზღვარგარეთ“, „უცხოელი ტურისტები სსრ კავშირში“. ეს გამოფენები დიდ ინტერესს წარმოადგენს.

ფოტოსურათები ბევრ და საინტერესო რამეს მოგვითხრობენ. აი საბჭოთა ტურისტები ქარხანა „რენოს“ ამწყობ საამქროში და ლუვრში (პარიზი), გოეთესა და შილერის ძეგლთან (ვაიმარი — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), „მეგობრობისა და მშვიდობის“ ხიდზე, რომელიც რუმინეთსა და ბულგარეთს აერთებს, პრახოვის ხეობასა და ბუქარესტში (რუმინეთი) და სხვ.

უცხოელი ტურისტებისათვის ცხოველ ინტერესს წარმოადგენს კულტურის ძეგლები და ისტორიული ღირსშესანიშნაობანი საბჭოთა კავშირის დედაქალაქის მოსკოვისა, რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ტურისტული ცენტრი გახდა.

გერმანელი და რუმინელი ტურისტები იალტაში; ბულგარელი ექსკურსანტები ასკოლდის საფლავთან კიევში, ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეღორეობის ფერმაში (უკრაინა); უნგრელი მეგობრები სოხუმის ბოტანიკურ ბაღში, სოხუმის გორაზე, სასწავლო-საცდელ მეურნეობა „ეშერში“ სოხუმის ახლოს; გერმანელები რიწის ტბის ნაპირზე; სირიიდან ჩამოსული სტუმრები ერევნის ელექტროკარხანაში. აქვე ისინი ესაუბრებიან სირიიდან ჩამოსულ სომეხ რეპატრიანტს. ყოველივე ამაზე და უცხოელი ტურისტების სხვა მოგზაურობაზე მოგვითხრობენ ფოტოვიტრინები.

წლითიწლობით ფართოვდება საბჭოთა კავშირის საერთაშორისო ტურისტული ურთიერთობა. უცხოელი სტუმრები უდიდეს ინტერესს იჩენენ ჩვენი ქვეყნისადმი, დიდი ხალისით ეცნობიან თანამედროვე საბჭოთა სინამდვილეს, ცდილობენ საკუთარი თვალით ნახონ საბჭოთა ცხოვრება, ამავე დროს ფართოვდება საზღვარგარეთ მიმავალი საბჭოთა ტურისტების ნაკადი. ამას უთუოდ ხელს უწყობს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებაც.

აი რა განაცხადეს საინფორმაციო სააგენტო „ინტურისტის“ გამგეობაში ჟურნალისტებთან საუბრის დროს:

— თუ 1958 წელს სსრ კავშირს 529 ათასი უცხოელი ეწვია, შარშან ეს ციფრი მნიშვნელოვნად გაიზარდა: საბჭოთა ადამიანებმა მიიღეს სტუმრები და მეგობრები ყველა კონტინენტის 57 ქვეყნიდან. წლის განმავლობაში თითქმის სამჯერ გადიდდა ამერიკის შეერთებული შტატებიდან და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან ჩამოსულ ტურისტთა რიცხვი.

თავის მხრივ ასეულ ათასობით საბჭოთა ტურისტი იყო ევროპის, ამერიკის, აზიისა და აფრიკის 35 ქვეყანაში.

საბჭოთა მთავრობა ყველა ღონისძიებით უწყობს ხელს ტურიზმს, განამტკიცებს და აფართოებს ტურისტული ორგანიზაციების მატერიალურ ბაზას. შარშან ტურისტებისათვის გიხსნა პირველხარისხოვანი ოტელი იალტაში. მიმდინარე წლის სეზონში სტუმრებს მიიღებენ აგრეთვე იალტის მეორე ოტელი, ახალი სასტუმროები სოჭში, გაგრაში და რიგის სანაპიროზე.

სულ უფრო ფართოვდება „ტურისტული გეოგრაფია“. თუ ამ ცოტა ხნის წინათ უცხოელი სტუმრები საბჭოთა კავშირში 15 მარშრუტით მოგზაურობდნენ, ახლა მათ ეძლევათ 50 მარშრუტი. უცხოელ ტურისტებს შეუძლიათ ინახულონ რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, საქართველოს, უზბეკეთისა და სხვა რესპუბლიკების ბევრი ღირსშესანიშნავი ადგილი. მარშრუტების რაოდენობა სულ უფრო გაიზრდება, როცა მწყობრში ჩადგება ახალი აეროპორტები, სასტუმროები და ბაზები.

სსრ კავშირში საინტერესო მოგზაურობა შეეძლებათ აგრეთვე ავტომობილით მოგზაურობის მოყვარულ უცხოელ ტურისტებს.

როგორც უცხოელი ტურისტები აღნიშნავენ, ისინი აღტაცებული არიან აყვავებული საქართველოს ბუნებით, უდიდეს სიამოვნებას ნახულობენ საქართველოში მოგზაურობით. საზღვარგარეთელი სტუმრების სურვილის დასაკმაყოფილებლად 1961 წელს გაიხსნება საავტომობილო ტურიზმის ახალი წარმტაცი მარშრუტი: სოჭი — სოხუმი — თბილისი — საქართველოს სამხედრო გზა — ორჯონიკიძე.

ტურისტების მომსახურებისათვის მნიშვნელოვნად ფართოვდება საერთაშორისო საავიაციო ხაზები და რკინიგზის ქსელი. ახლა საუცხოო რეაქტიული ტურბინ-ხრახნიანი თვითმფრინავები აკავშირებენ მოსკოვს ევროპისა და აზიის ბევრ ქალაქთან. ტურისტები სარკინიგზო შემადგენლობებით, რომლებშიც „მეგობრობისა და მშვიდობის“ სახელწოდება მიიღეს.

1960 წელს მნიშვნელოვნად გადიდდება საზღვარგარეთ მიმავალი საბჭოთა ტურისტების რიცხვიც. საბჭოთა ადამიანები მსოფლიოს 55 ქვეყანას ესტუმრებიან. გასულ წელთან შედარებით მათი რიცხვი სულ მცირე 50 პროცენტით გადიდდება.

სერიოზული ყურადღება ექცევა ტურისტული ჯგუფების დაკომპლექტებას სპეციალობათა მიხედვით — შეიქმნება მანქანათ-მშენებელთა, ენერგეტიკოსთა, ექიმთა, მასწავლებელთა, არქიტექტორთა, სოფლის მეურნეობის მუშაკთა ჯგუფები და ა. შ. ისინი გაემგზავრებიან მშვიდობისა და მეგობრობის მატარებლებით, მონაწილეობას მიიღებენ საზღვაო მოგზაურობაში ხმელთაშუა ზღვაზე და ევროპის გარშემო, მოაწყობენ ექსკურსიებს მსუბუქი ავტომანქანებით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, ფინეთის გზებზე.

ეჭვს გარეშეა, რომ ტურისტების ურთიერთ გაცვლა ხელს შეუწყობს მეგობრული საერთაშორისო ურთიერთობის შემდგომ განვითარებას, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებას.

ს. გრიგორიანი.

მოსკოვი.

„სვანეთის მარგალიტი“

ლენტეხი. (საკ. კორ.). „სვანეთის მარგალიტი“ — ასე უწოდებენ აქაური მცხოვრებლები თავიანთ რაიონულ ცენტრს — ლენტეხს. უკანასკნელ წლებში ბევრი რამ გაკეთდა მისი გამშვენიერებისა და კეთილმოწყობისათვის ქუჩებში დაიგეს ასფალტი, გაამშენეს სკვერები და გაზონები, დარგეს მრავალი დეკორაციული და მარადმწვანე მცენარე. მთის მდინარე ლასკადურას, რომელიც დაბას ჩამოუდის, მთელ სიგრძეზე გაუკეთეს ბეტონის ჯებირები.

ლენტეხის ყველა საწარმო-დაწესებულება ამჟამად ტელეფონიზებულია. ყურადღებას იპყრობს ლამაზი ორსართულიანი შენობა, რომელსაც ეს არის ჩამოხსნეს ხარაჩოები. მისი მეორე სართული განკუთვნილია სასტუმროსათვის, პირველი კი — რესტორანისათვის. შარშან საფუძველი ჩაეყარა საშუალო სკოლის სამსართულიან შენობას. იგი სამ მილიონამდე მანეთი დაჯდება. საფუძველი ჩაეყარა აგრეთვე კულტურის სახლის შენობას, რომლის მაყურებელთა დარბაზი 400 კაცზე მეტს დაიტევს. ერთ-ერთ ქუჩაზე სწრაფი ტემპით მიმდინარეობს 300-ადგილიანი კინოთეატრის მშენებლობა.



დიდი ქიმიის რეზერვები

საქართველო მდიდარია წიაღისეულით, მათ შორის ეულკანური თიხებით, რომლებსაც ბენტონიტის თიხები ეწოდება. ეს თიხები პლასტიური და ელასტიურია, ოღლად დასამუშავებელია სხვადასხვა ორგანულ გამხსნელებში. ასეთი თიხები უხვად მოიპოვება როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში, თავიანთი მინერალურ-ქიმიური შემადგენლობით და ფიზიკურ-მექანიკური თვისებებით ისინი შეიძლება ფართოდ იქნას გამოყენებული როგორც ძვირფასი ნედლეული ქიმიური მრეწველობისათვის, საპნის წარმოებაში სხვადასხვა ზეთებისა და ცხიმების შესაცვლელად, სხვადასხვა მაღალხარისხოვანი ლაქ-საღებავების მისაღებად, რომლებსაც დიდი გამოყენება ეძებნება სამეფო საქმეში და ლითონების დასაცავად კოროზიის მოვლენებისაგან, საშენი მასალებისა და ფაიფურის წარმოებაში, საფეიქრო და სამხმელო მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მედიცინაში.

საქართველოს ბენტონიტური თიხების ბაზაზე შეიძლება აიგოს ქარხნები და განვითარდეს ქიმიური მრეწველობის დარგები. ამ ამოცანის გადაჭრისათვის საჭიროა გავაძლიეროთ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, შევიმუშაოთ კონკრეტული ღონისძიებანი ბენტონიტის თიხების რაციონალური გამოყენებისათვის. ამ მხრივ ერთგვარი მუშაობა გასწია მინერალური ნედლეულის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის კოლექტივმა, მაგრამ მას საწარმოო მნიშვნელობა არ მისცემია.

ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1958 წლის მაისის პლენუმის დადგენილებამ დიდად შეუწყო ხელი ჩვენი რესპუბლიკისათვის მრეწველობის ამ ახალი დარგის აღმავლობას. საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის სამმართველომ მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განახორციელა ქიმიური მრეწველობის განვითარებისათვის.

მაგრამ ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარებისათვის აღებული ტემპები ჯერ კიდევ არ არის საკმარისი. საჭიროა უფრო ღრმად და კონკრეტულად შევეისწავლოთ ქიმიური მრეწველობის განვითარების პერსპექტივები საქართველოში ახალი ნედლეულების გამოყენების საფუძველზე და, რაც მთავარია, გადავჭრათ ქიმიური მრეწველობის წამყვანი წარმოების — გოგირდმჟავას წარმოების შექმნის ამოცანა, რაზეც დამოკიდებულია არა მარტო თვით ქიმიური მრეწველობის განვითარება, არამედ ნავთობის, მეტალურგიული, მსუბუქი, კვების და მრეწველობის სხვა დარგების აღმავლობაც.

ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარება საყოველთაო-სახალხო საქმეა, რომლის წარმატებისათვის აუცილებელია მეორად ნედლეულთან ერთად რაციონალურად გამოვიყენოთ ბუნებრივი ნედლეული. ეს საშუალებას მოგვცემს მკვეთრად გავადიდოთ პროდუქციის გამოშვება, გავაფართოოთ ქიმიური პროდუქტების ასორტიმენტი.

გამოჩენილი ინგლისელი მეცნიერი ვ. რამზაი აღნიშნავდა, რომ ის ხალხი და ის ქვეყანა, რომელიც წინ გაუსწრებს სხვებს ქიმიის ცოდნაში, დაიჭერს მომავალში პირველ ადგილს სიმდიდრით და საერთოდ კეთილდღეობითო.

დიდი ლენინი კი უდიდეს შეფასებას აძლევდა რამზაის აღმოჩენას ქიმიაში, რომლის საფუძველზე მან დასახა გეგმა ჩვენი ქვეყნის გაზიფიკაციისა ქვანახშირის გამოხდით. 1913 წელს გაზეთ „პრავდაში“ ვ. ი. ლენინი სტატიაში „ტექნიკის ერთ-ერთი უდიდესი გამარჯვება“ წერდა, რამზაის აღმოჩენა გიგანტურ ტექნიკურ რევოლუციას ნიშნავსო.

ი. ჟორჟოლიანი,
ინჟინერ-ტექნოლოგი.

... ერეკოვნელი ... ...

მილიონერები — რაციონალიზატორები

გორის ბამბეულის კომბინატის რაციონალიზატორები დიდ მუშაობას ეწევიან წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის. მათ შორის ბევრნი არიან ისეთები, რომლებმაც მრავალი რაციონალიზატორული წინადადება განახორციელეს და ამით დიდი ეკონომია მისცეს სახელმწიფოს.

გამომყვანი ფაბრიკის სარემონტო განყოფილების ოსტატი, პროფჯგუფორგანიზატორი მ. შაბანოვი არაერთი რაციონალიზატორული წინადადებისა და გამოგონების ავტორია. მან შექმნა გამოყენილი ქსოვილის ორფად საკეცი მანქანის კონსტრუქცია, რომელიც თვითონვე დაამზადა. მარტო ეს მანქანა წარმოებას წლიურად 38 ათას მანეთ ეკონომიას აძლევს. მისივე რაციონალიზატორული წინადადებით საჩითავ მანქანაზე მოსაჩითი ქსოვილის გაწყობისათვის გაკეთდა სპეციალური ამწევი მექანიზმი, რომელმაც შეცვალა ხელით მძიმე შრომა.

ბევრი კარგი რაციონალიზატორული წინადადების ავტორია საქსოვი ფაბრიკის სარემონტო განყოფილების უფროსი ნ. იორამაშვილი, რომელმაც საქსოვი დაზგის მუხლანა ღერძის კონსტრუქციაში შეიტანა გაუმჯობესება და წარმოებას ამით წლიურად 150 ათასი მანეთი ეკონომია მისცა. ინჟინერმა გ. ლიპარტიამ კონსტრუქციული ცვლილება შეიტანა საარშიე მანქანების გამწელავ აპარატში. ამით გაუმჯობესდა ტექნოლოგიური პროცესი და მნიშვნელოვნად ამაღლდა არშიის ხარისხი.

მარტო შარშან კომბინატის რაციონალიზატორებმა და გამომგონებლებმა შემოიტანეს 241 წინადადება, რომელთა დიდი ნაწილი წარმოებაში დაინერგა. წელს მიღებულია ორმოცდაათზე მეტი წინადადება. აქედან უკვე დანერგილია 23 წინადადება, რაც კომბინატს წლიურად 80 ათას მანეთს ეკონომიას მისცემს.

ამჟამად კომბინატში გამოცხადებული გვაქვს კონკურსი ელექტროენერგიის ხარჯვის ეკონომიაზე საუკეთესო რაციონალიზატორული წინადადებებისათვის. კონკურსის შედეგები შეჯამდება მაისში.

კომბინატის საფაბრიკო კომიტეტთან არსებული გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების საბჭო სათანადო დახმარებას უწევს რაციონალიზატორებს მუშაობაში. გამოყოფილი აქტივისტები — ინჟინერ-ტექნიკოსები, ნოვატორები სისტემატურად ატარებენ რაციონალიზატორებთან საუბრებს, კონსულტაციებს, ეხმარებიან მათ წინადადებების სათანადოდ გაფორმებაში.

კომბინატის გამომგონებლებისა და რაციონალიზატორების ვალდებულებაა მიმდინარე წელს შვიდწლედის ფონდში რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვით შეიტანონ 1,5 მილიონი მანეთი.

ზ. მარლიშვილი,
გორის ბამბეულის კომბინატის გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარე.

... ...

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ავტომატიკისა და ტელემექანიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ტელემექანიკის განყოფილების ინჟინერები ნ. შენგელია და რ. მეგრელიშვილი ამოწმებენ ტელემართვისა და ტელესიგნალიზაციის უკონტაქტო მოწყობილობის მუშაობას.

ფოტო ბ. დადვაძისა.

... ...

მიმდინარე წლის დამდეგს ქალაქთა მშენებლობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტმა გამოაცხადა ამხანაგური კონკურსი ახალგაზრდობის გამაჯანსაღებელი ბანაკის საუკეთესო პროექტზე. ბანაკი აგებული იქნება ბაკურიანში. კონკურსზე წარდგენილი 5 პროექტიდან ტექნიკურმა საბჭომ შეარჩია და პრემიებით აღნიშნა ორი ნაშრომი, რომელთა საფუძველზეც შემუშავებულ იქნება ბაკურიანის — ამ ახალი კეთილმოწყობილი სასპორტო ქალაქის ერთი პროექტი.

იგი გაშენდება ლამაზ ფერდობზე, საზოგადოება „ბურევესტნიკის“ ამჟამად არსებული სასპორტო ბაზის ახლოს და 17 ჰექტარამდე ფართობს დაიკავებს.

ახალგაზრდობის სასპორტო გამაჯანსაღებელი ბანაკი მთელი წლის განმავლობაში იმუშავებს. იგი ნავარაუდევია ზამთარში 200 ადგილისა და ზაფხულის პერიოდში 400 ადგილისათვის.

წიწვიანი ტყის პირას აშენდება ლამაზი, ნათელი საწოლი კორპუსები თავისუფალი პავილიონური ტიპისა, ადმინისტრაციული და კომუნალური შენობები, სადაც იქნება საფოსტო განყოფილება, შემნახველი სალარო, სამედიცინო პუნქტი, საშხაპეები, საპარიკმახერო, საყოფაცხოვრებო მომსახურების სახელოსნოები და სხვ.

სამთო-ალპური ტიპის საწოლ კორპუსებში იქნება დიდბუხრებიანი სასტუმრო ოთახები, თხილამურების შესანახავი, ტანსაცმლის გასაშრობი სპეციალური საკეთებელი, გარდერობები პირადი ნივთებისათვის, თვითმომსახურების ოთახები, პირსაბანი ოთახები.

საწოლი კორპუსების გვერდით, მწვანეში გაშენდება პატარა კოტეჯებისაგან შემდგარი ლამაზი ქალაქი, აიგება თვითმომსახურების სასადილო, კლუბი მაყურებელთა 200-ადგილიანი დარბაზით, გარაჟი და პროფილაქტორიუმები მსუბუქი მანქანებისათვის, მრავალი მოედანი სპორტული თამაშისა და გართობისათვის.

ზაფხულობით წიწვიან ტყეში მოეწყობა კარვების ქალაქი, სადაც 300 ადგილი იქნება.

შერჩეული პროექტების ავტორები არიან „ქალაქმშენსახპროექტის“ არქიტექტორები ზ. თავართქილაძე, ტ. მაჭარაშვილი, შ. თადუმაძე, გ. კიკნაძე, ა. ჩიქოვანი (მეოთხე საპროექტო სახელოსნო) და პირველი საპროექტო სახელოსნოს არქიტექტორები გ. ბარამიძე, ვ. დავითაია, გ. და დ. ქავთარაძეები, ა. მახარობლიშვილი.

ბაკურიანში ახალგაზრდობის ახალი სასპორტო ქალაქის მშენებლობის დამთავრება ნავარაუდევია მიმდინარე წლის დამლევისათვის.

ს. კილაძე.

... ...



ბაკურიანის სამთო-ალპური ტიპის ახალი სასპორტო ქალაქის საწოლი კორპუსი.

... ...

ლენინგორი. (საკ. კორ.). „ბოლო ... ...

საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

მკვლელები მკაცრად დაისაჯონ, გულგრილ აღმზრდელებს პასუხი მოეთხოვოთ

27 მარტს თბილისში ჩადენილ იქნა დანაშაული, რომელმაც აღაშფოთა ქალაქი საზოგადოებრიობა. ორი დამნაშავე ვ. ვასილცევი და კ. გაძარცვის მიზნით თავს დაესხა პუშკინის სახელობის თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის IV კურსის სტუდენტს შ. მაისურაძეს და სასიკვდილოდ დაჭრა იგი. შემდეგ მათვე დაჭრეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი ტ. ბასარია და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი ვ. სუბარევი.

ორივე დამნაშავე დაპატიმრებულია და მალე წარსდგება სასამართლოს წინაშე.

საკითხი აღმაშფოთებელი დანაშაულობის შესახებ, რაც ახალგაზრდა ადამიანებმა ვ. ვასილცევმა და კ. ბილიხოძემ ჩაიდინეს, 8 აპრილს განხილულ იქნა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე. სხდომაზე, რომელზეც მიწვეული იყვნენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და მუშა ახალგაზრდობის სკოლების დირექტორები და პედაგოგები, იმ საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები და კომკავშირული ორგანიზაციების მდივნები, სადაც სხვადასხვა დროს სწავლობდნენ და მუშაობდნენ ვ. ვასილცევი და კ. ბილიხოძე, მილიციის ორგანოების წარმომადგენლები და დამნაშავეთა მშობლები, გამოირკვა იმის სურათი, თუ როგორ დაადგნენ ისინი ავაზაკური დანაშაულობის გზას.

ორი ახალგაზრდა ადამიანის გადაგვარება მრავალი წლის მანძილზე ხდებოდა მოზრდილების, მშობლების, პედაგოგების თვალწინ. ამისი მოწმენი იყვნენ სკოლებისა და საწარმოების კომკავშირული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. საშუალო სკოლებში № 23 (დირექტორი თამბაგარი), № 24 (დირექტორი მეტრეველი), № 31 (დირექტორი ენუქიძე), № 1 (დირექტორი კიკვიძე), რკინიგზის საშუალო სკოლაში № 7 (დირექტორი ცინცაძე), ჰუშა ახალგაზრდობის სკოლებში № № 17, 14 (დირექტორები ჭურაძე, კვაჭაძე) და სხვ. საწარმოებში — ფანერის ფაბრიკაში (დირექტორი ბენდუქიძე), ავტოსარემონტო ქარხანაში (დირექტორი კიკნაძე) და სხვ. კარგად იცოდნენ ვასილცევისა და ბილიხოძის უდისციპლინობა, ხულიგნური გამოვლინება და ამორალური საქციელი. მაგრამ არავის არ უფიქრია იმაზე, რომ დროზე აღეკვეთა ახალგაზრდა ადამიანების ანტისაზოგადოებრივი მოქმედება, რომლებიც ასცდნენ სწორ გზას. არავინ ჯეროვნად არ ცდილა გამოეძებნა სწორი მიდგომა მათდამი, გამოეყენებინა მთელი აღმზრდელობითი ღონისძიებანი, დაემორჩილებინა ისინი კოლექტივის საღი გავლენისადმი, ჩაება საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ჭაბუკების ბედი არავის ჯეროვნად არ აწუხებდა, პირიქით, ყოველი მათგანი, ვისზეც ზემოთ იყო ლაპარაკი, ცდილობდა თავიდან მოეშორებინა ისინი, რომლებიც „არ ემორჩილებოდნენ აღზრდას“, არ უზრუნავია მათი შემდგომი ხვედრისათვის, და ამით თავიდან იცილებდა პასუხისმგებლობას.

განსაკუთრებით დამნაშავეა არიან საზოგადოების წინაშე იმისათვის, რომ ახალგაზრდა ადამიანები გახდნენ დამნაშავენი, ვასილცევის მშობლები — დედა თამარი იპოლიტეს ასული ძოწენიძე და მამინაცვალი დავით ვარლამის ძე თარგამაძე; ბილიხოძის მშობლები — აკაკი კონსტანტინეს ძე და სოფიო ხარიტონის ასული ბილიხოძეები. ისინი ხელს უწყობდნენ თავიანთი შვილების ჭირვეულობასა და სურვილებს. სკოლიდან სკოლაში გადაჰყავდათ, თანდათანობით დაკარგეს მშობლთა ავტორიტეტი, ვერ შეძლეს დაეცვათ ისინი გახრწნილი ელემენტების გავლენისაგან. კ. ბილიხოძის ხასიათისა და მიდრეკილებათა ჩამოყალიბებაში უარყოფითი როლი შეასრულა უთანხმოებამ ოჯახში და ოჯახის მეთაურის ა. კ. ბილიხოძის ამორალურმა საქციელმა.

იმ სკოლებისა და საწარმოების კომკავშირული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებშიც სწავლობდნენ და მუშაობდნენ ვასილცევი და ბილიხოძე, გარეშე მეთვალყურეთა როლში აღმოჩნდნენ. მათ დაივიწყეს თავიანთი პასუხისმგებლობა, ახალგაზრდა თაობის აღმზრდელთა მოვალეობა.

უკვე ეს ფაქტი იმას მოწმობს, რომ არიან კიდევ საწარმოთა, დაწესებულებათა, სასწავლებელთა ხელმძღვანელები, მშობლები, რომლებიც ივიწყებენ თავიანთ პირად პასუხისმგებლობას ახალგაზრდობის აღზრდისათვის კომუნისტური მორალის მაღალი პრინციპების სულისკვეთებით.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ დადგინა:

ეთხოვოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის სხდომაზე განიხილოს თბილისის 1-ლი, 23-ე, 24-ე საშუალო სკოლებში, ქალაქ მახარაძის მე-2 სკოლაში, თბილისის მე-10, მე-17, 24-ე და მე-14 მუშა ახალგაზრდობის სკოლებში, სადაც სხვადასხვა დროს სწავლობდნენ ვასილცევი და ბილიხოძე, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დაყენების საკითხი და მიიღოს მკაცრი ღონისძიებანი იმათ მიმართ, ვინც გულგრილად ეკიდება მოსწავლეთა აღზრდის საქმეს.

ეთხოვოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, სახალხო მეურნეობის საბჭოს, კულტურის სამინისტროსა და ვაჭრობის სამინისტროს განიხილოს შემდეგ საწარმოთა—ფანერისა და ავტოსარემონტო ქარხნების, საქართველოს გზატკეცილების სამმართველოს მექანიკური სახელოსნოების, მთავრობის სახლის სახელოსნოს და სხვების ხელმძღვანელთა საკითხი, რომლებმაც არ იზრუნეს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში ჩაებათ ვასილცევი და ბილიხოძე და დაამყოფილდნენ მხოლოდ შემოქმედების ადმინისტრაციული ღონისძიებებით.

ხაზგასმით აღნიშნავს რა მშობელთა პასუხისმგებლობას შვილების აღზრდისათვის, ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს საჭიროდ მიაჩნია ეთხოვოს ხელმძღვანელობას, პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის თავიან სამმართველოსას, № 1 მუსიკალური სკოლისას, პურვაჭრობისას, სადაც მუშაობენ ვასილცევისა და ბილიხოძის მშობლები, მუშათა და მოსამსახურეთა სერთო კრებებზე განიხილონ შვილების არასწორი აღზრდისათვის მათი პასუხისმგებლობის საკითხი.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ დავალა კომკავშირის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებსა და პირველადს კომკავშირულ ორგანიზაციებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მთელი სასწავლო და აღმზრდელობითი მუშაობის დაყენებას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში, კიდევ უფრო გააძლიერონ ბრძოლა ყოველგვარი ანტისაზოგადოებრივი გამოვლინების წინააღმდეგ.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სწორად მიაჩნია გაზეთი „მოლოდო სტალინეცის“ გამოსვლა იმ დანაშაულობის შესახებ, რომელიც ჩაიდინეს ვ. ვასილცევმა და კ. ბილიხოძემ.

(საქდესი).

დიმიტრი იოსებიძის-ძე გულია

პროფესორი



მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 87 წლის ასაკში გარდაიცვალა აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებელი, აფხაზეთის სახალხო პოეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი დიმიტრი იოსების-ძე გულია.

დ. ი. გულიას გარდაცვალება დიდი დანაკლისია. აღარ ძგერს უდიდესი აფხაზი პოეტის, მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთი შესანიშნავი ოსტატის გული.

დ. ი. გულიას მთელი ცხოვრება და შემოქმედება ხალხის ინტერესებისადმი შთაგონებული სამსახურის მაგალითია.

დ. ი. გულია დაიბადა 1874 წლის 21 თებერვალს სოხუმის რაიონის სოფელ უარჩაში, გლეხის ოჯახში. 1885 წელს შევიდა სოხუმის საქალაქო სკოლაში, ხოლო მისი დამთავრების შემდეგ სწავლობდა გორის სამასწავლებლო სემინარიაში. მშობლები ადრე დაკარგა, ახალგაზრდობის წლებიდან დაადგა დამოუკიდებელი შრომითი ცხოვრების გზას და მრავალ წელს მუშაობდა სოხუმსა და აფხაზეთის სასოფლო სკოლებში სახალხო მასწავლებლად.

შავბნელ რეაქციამდელ წლებში დ. ი. გულიამ გადაწყვიტა თავისი ძალები მთლიანად მოენდომებინა მშობლიური ხალხის განათლების კეთილშობილური საქმისათვის. ფართო და მრავალფეროვანი იყო მისი საგანმანათლებლო მოღვაწეობა. 1892 წელს ჯ. მაჭავარიანთან ერთად მან შექმნა პირველი აფხაზური ანბანის წიგნი. დ. ი. გულიას კალამს ეკუთვნის მრავალი სახელმძღვანელო და დამხმარე სასწავლო წიგნი აფხაზური სკოლებისათვის. იგი იყო აფხაზეთის მოსახლეობაში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების აქტიური მოღვაწე.

XIX საუკუნის დამლეგიდან იწყება დ. ი. გულიას ნაყოფიერი ლიტერატურული მოღვაწეობა. მისი, შემოქმედების ძირითადი წყარო იყო მშობლიური ხალხის ცხოვრება. მის სულიერ განვითარებაში დიდი როლი შეასრულეს რუსული და ქართული კლასიკური ლიტერატურის უმდიდრესმა ტრადიციებმა. დ. ი. გულიას პოეტურ ნაწარმოებთა პირველი კრებული გამოვიდა 1912 წელს ქალაქ თბილისში. მის მიერ რევოლუციამდელ წლებში დაწერილი ნაწარმოებნი გამსჭვალულია მძაფრი სიძულვილით ხალხის მჩაგვრელებისადმი — ცარიზმისა და მისი დამქაშებისადმი, გამსჭვალულია მგზნებარე რწმენით ნათელი მომავლის მალე დადგომისადმი.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამ ფრთები შეასხა დ. ი. გულიას, მისი მრავალფეროვანი შემოქმედება ახალი შინაარსით გამსჭვალა. იწყება მისი დიდი და ნათელი ნიჭის სრული აყვავების პერიოდი.

ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობასთან ერთად იგი აქტიურ მუშაობას ეწევა აფხაზეთის ასსრ კულტურული მშენებლობის ყველა დარგში, მონაწილეობს ეროვნული კადრების მომზადებაში. 1924-1925 წლებში დ. ი. გულია აფხაზურ ენას ასწავლიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

შემდეგ დ. ი. გულია მუშაობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში, რომლის მეცნიერი თანამშრომელი იყო თავისი სიცოცხლის დასასრულამდე. მისი ნაყოფიერი მეცნიერულ-კვლევითი მუშაობა განხორციელდა მთელი რიგი ძვირფასი შრომებით აფხაზეთის ფოლკლორის, ენათმეცნიერების, ეთნოგრაფიისა და ისტორიის დარგში.

ფასდაუდებელია დ. ი. გულიას დამსახურება აფხაზური ლიტერატურის წინაშე. მან შექმნა შესანიშნავი ნაწარმოებნი მხატვრული პროზის, პოეზიის, დრამატურგიის დარგში, რომლებმაც მკითხველთა ფართო წრეების სიყვარული და აღიარება დაიმსახურეს.

თავის ლექსებსა და პოემებში იგი მგზნებარედ უმღეროდა მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, მის შემქმნელსა და ბელადს ვლადიმერ ილიას ძე ლენინს, ხალხთა მეგობრობას, საბჭოთა ადამიანების საგმირო შემოქმედებით საქმეებს. დიმიტრი გულიას ბევრი ნაწარმოები მიძღვნილია მშობლიური საბჭოთა აფხაზეთისადმი. ასეთებია მისი პოეტური ნაწარმოებნი „ჩემი კეთილ“, „პარტია“, „ჩემი ქალაქი“, „მთის დამადება“, „შემოდგომა სოფლად“, ლექსები ბავშვებისათვის და სხვ. ადრინდელ ნაწარმოებებში — რომან „კამაჩიჭში“, მოთხრობაში „უცხო ცის ქვეშ“, ნოველებში, ავრეთვე დრამაში „აჩრდილები“ დ. ი. გულიამ დიდი მხატვრული ძალითა და სიმართლით დახატა რევოლუციამდელი აფხაზეთის ცხოვრება.

დ. ი. გულიას ბევრი საუკეთესო ნაწარმოები თარგმნილია რუსულ, ქართულ და ჩვენი სამშობლოს მოძმე ხალხთა სხვა ენებზე, ავრეთვე უცხო ქვეყნების ხალხთა ენებზე. მან აფხაზური ლიტერატურა გაამდიდრა რუსული, ქართული, უკრაინული და სხვა ხალხთა ლიტერატურის დიდ ნაწარმოებთა მშობლიურ ენაზე მშვენიერი თარგმანებით. მათ შორის თარგმნა „ამბავი იგორის ლაშქრობისა“ და შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“.

დიდია დ. ი. გულიას დამსახურება აფხაზური ეროვნული თეატრის შექმნასა და განვითარებაში.

დ. ი. გულიამ ბევრი ენერგია მოახმარა საზოგადოებრივ მოღვაწეობას. იგი იყო სსრ კავშირის IV-V მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, არაერთგზის აურჩეული აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მაღალი შეფასება მისცეს დ. ი. გულიას დამსახურებას საშობლოს წინაშე და იგი დაჯილდოვეს ლენინის ორდენით, ავრეთვე საბჭოთა კავშირის სხვა ორდენებითა და მედლებით.

დიმიტრი იოსების-ძე გულიას — სოციალისტური კულტურის გამოჩენილი მოღვაწის — ნათელი ხსოვნა იცოცხლებს აფხაზი ხალხის, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა გულში.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი
აფხაზეთის ასსრ საბჭოთა მწერლების კავშირი
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტი.

მამის მუხლიდან ბრალდებულის სკამზე

ბრალდებულის სკამზე ზის ჯერაც პირტიტველი ჭაბუკი, ასე 17-18 წლისა. ჯიუტად თავდახრილი, არც მოსამართლესა და მსაჯულებს უყურებს, არც დაზარალებულს, არც დარბაზს, სადაც წინა რიგში თვალცრემლიანი დედაც ეგულება. ხანგამოშვებით ბიჭი შუბლიდან თმას გადაიყრის ხელით და ამ უბრალო მოძრაობითაც ნათლად ავლენს მოუთმენლობასა და მღელვარებას. იგი არაფრით არა ჰგავს დანაშაულის ჩამდენს. რაღაც მორცხვობისა და კეთილშობილების იერი დაჰკრავს მთელ მის არსებას. ალბათ ჯერ კიდევ გუშინ იგი ასევე თავდახრილი იდგა მასწავლებლის წინაშე და ყურის ბიბილოები უწითლდებოდა უბრალო დატუქსვის გამო, ახლა კი სამსჯავროს წინაშე დგას, როგორც დამნაშაეე და ბოროტმოქმედი.

— ბრალდებული ცეზარ იასუშვილო, თქვენ ბრალად გედებათ ბინის გაქურდვა და დაწვა. ცნობთ თუ არა თავს დამნაშავედ?

ბიჭმა წუთით აიღო თავი, რაღაც უცნაური ცეცხლით ანთებული თვალები ჯერ დაზარალებულს გაუსწორა, მეე მოსამართლეს შეხედა და ბოლოს ისევ თავდახრილმა თქვა:

— დიახ, ცეცხლი მე წავუკიდე, —მართალია, გავურდა კი არც მიფიქრია.

— მაგრამ არსებობს ნივთიერი მტკიცება, თქვენ აღმოგაჩნდათ მოპარული კაბა, — მტკიცედ მიჰყვება მოსამართლე რკინის ლოგიკას.

— არ მომიპარავს, ვფიცავ... — გმინვასავით აღმოხდა ბრალდებულს და სიმწარისა და უმწეობისაგან ცრემლით აევსო თვალები. მან იცოდა, რომ ფიცი საბუთად ვერ გამოადგებოდა, სხვა საბუთი კი მას არ გააჩნდა. ვინ დაუჯერებს, რომ ეს კაბა შემთხვევით გაპყავი მის ტანსაცმელს სიგიჟისა და თავდავიწყების იმ წუთებში... — დამსაჯეთ, რა ქენა, ქვეყანამ ხომ იცის, ჩემმა ამხანაგებმა ხომ იციან, რომ ქურდი არა ვარ, — დაუმატა მან, როცა ოდნავ დამშვიდდა.

მოსამართლემ თვალებში შეხედა ბრალდებულს და მიხვდა, რომ ეს ცრემლები თვალთმაქცური არ იყო. მაგრამ მან უფლება არ მისცა თავს სისუსტე და ლმობიერები გამოეჩინა და ურეკი ლოგიკის ძალით განაგრძო:

— ბრალდებული იასუშვილო, თუ თქვენ ქურდობა არ გქონდათ განზრახული და დანაშაულის კვალის დაფარვა არ გსურდათ, რა მიზნით წუკიდეთ ცეცხლი მოქალაქე გიორგი იასუშვილის ბინას?

— არ ვიცი, მე მაშინ მინდოდა ყველაფერი დამეწვა და გამენადგურებინა, რაც მამაჩემის სახელთან არის დაკავშირებული, — თქვა ჭაბუკმა და კვლავ იმწველი, ცეცხლოვანი თვალებით გახვრიტა დაზარალებული.

— რამ მიგიყვანათ ამ გადაწყვეტილებამდე?

— მამაჩემმა.

— ტყუის! მას ჩემი მოკვლა უნდოდა, იმიტომ რომ ბოროტმოქმედია, ქურდია.

დარბაზში ჩურჩული გაისმა და ფოთლების შრიალივით გადაუარა რიგიდან რიგს.

— მამაჩემმაო?! ეს კაცი ვინ არის?

—რომელი? დაზარალებული?

— ჰო, მომჩივანზე გეკითხები.

— როგორ, არ იცი? მამაა მაგ ბიჭის.

— მამა!? მერე მამა უჩივის შვილს?

— ეჰ, თურმე ყველაფერი ხდება.

— ქურდიო, ბოროტმოქმედიო. საოცარია! თუ ასეა, უწინარეს ყოვლისა მშობელია დამნაშავე. ეს ბიჭი ხომ მთლად ბავშვია. ამ ასაკში მშობლისაგან იღებენ მაგალითს.

— მერე იცით, მამა პედაგოგი ყოფილა.

— რას ამბობთ, ვაი სირცხვილო! ვითომ სხვებსა ზრდის, საკუთარი შვილი კი ბრალდებულს სკამზე დასვა და უსირცხვილოდ ყვირის და გვიმტკიცებს, ბოროტმოქმედიაო.

— შეხედეთ ბიჭს, თვალები ცრემლებით ევსება. ან ნახავთ, თუ ის დამნაშავე იქნება. მე რომ მკითხოთ, ავიღებდი და მამამისს მივცემდი პასუხისგებაში.

ცეზარი დგას თავდახრილი, ყურს უგდებს ამ ჩურჩულს და ცრემლები ვერ შეუკავებია. მან იცის, რომ ეს მის გამო ღელავს ხალხი. აქ არიან მისი ნაცნობები, ამხანაგები, მეზობლები, დედა... და მათ შორის არავინ, სრულიად არავინ არ იცის, რა ცეცხლია მის გულში, არავინ იცის და ალბათ არც არავინ დაუჯერებს, რომ ის არც ქურდია და არც ბოროტმოქმედი. ვინ დაიჯერებს, რომ მშობელი მამა უსვინდისოდ ტყუის და ცილს სწამებს საკუთარ შვილს.

მამა... თუმცა სადა ჰყავს მამა ცეზარს. უკვე ათი წელია, რაც მან ოჯახი მიატოვა და სახლიდან წავიდა. მაშინ ცეზარი ათი წლისაც არ იყო, ხოლო მისი უმცროსი ძმა თემური ხუთისა თუ იქნებოდა. მას შემდეგ უმამოდ, ობლებივით იზრდებიან ბიჭები დედის მზრუნველობის ამარა. მშობელ დედაზე აუგი როგორ უნდა თქვას კაცმა, თორემ ვერც დედა მოიქცა კარგად. მუდამ მამასთან მიერეკებოდა ბავშვებს. წადით, გამშორდით, ვერ მოგიარეთ, მამამ გიპატრონოთო. „რატომ გვექცეოდა დედა ასე, ხომ ხედავდა, რომ მამას არ ვუნდოდით. მას სხვა ცოლშვილი ჰყავდა, ალიმენტის კუთვნილი კაპიკებიც კი არ ემეტება ჩვენთვის“. თუმცა რა ექნა დედას, გაუპირდა მარტოს. აშართლებს დედას გულში ცეზარი.. მერე ყოველივე ამას მიჰყვა ის ავადმოსაგონარი დღე, რომელმაც ცეზარი ბრალდებულის სკამამდე მიიყვანა. იმ დღეს მამაშვილი ცხარედ შელაპარაკდნენ და ბიჭმა თავის სიცოცხლეში პირველად შეუბრუნა სიტყვა მამას.. — „წადი, მომშორდი, ხომ ხედავ, აღარ მინდიხართ, მე ცოლიცა მყავს და შვილიც“. ყვარობდა გიორგი და კარზე უთითებდა შვილს. ბიჭი გაშრა და გაშეშდა. აღრეეც გრძნობდა, რომ მამას დიდად არ ეხატებოდა გულზე, მაგრამ ასე პირდაპირ და გამოტეხით ამას პირველად ამბობდა. მაინც ცეზარმა ეს მამის უბრალო გაცხარებად ჩათვალა და მეორე დღესაც მიაკითხა მამას, მაგრამ, როცა შინ არავინ დახვდა და გასალებიც ჩვეულ ადგილას ვერ იპოვნა, მიხვდა რომ მამის სახლის კარი მისთვის სამუდამოდ გადაკეტილი იყო. მაშინ დარდისა და მღელვარებისაგან გონებაარეულმა ძალით გააღო სახლის კარი, თავის ტანსაცმელს დაავლო ხელი, მამის ნივთებს ცეცხლი გაუჩინა და გამოიქცა. ეს იყო დაუფიქრებელი ნაბიჯი, რომელმაც ბიჭი ბრალდებულის სკამამდე მიიყვანა. ამ დანაშაულს იგი გრძნობდა, და მზად იყო სასჯელისათვის, მაგრამ ქურდობა ფიქრადაც არ მოსვლია. საკუთარ ტანსაცმელს შემთხვევით დედინაცვლის საშინაო კაბა გამოჰყოლოდა და ამის გამო მამამ ქურდობა დაუბრალა შვილს. რა ქნას ახლა, როგორ იმართლოს თავი, როგორ დაამტკიცოს, რომ მამა ცილს სწამებს.

დედისათვის ეს წრფელი ფიცი და თვალზე მომდგარი ორი კურცხალიც საკმარისია საბუთად, იქნებ მისი ამხანაგებიც ენდონ ამ ცრუმლებს, მაგრამ მოსამართლეს, მოსამართლეს როგორ დაარწმუნებ!

მოსამართლემ ზარის წკარუნით სიჩუმე მოითხოვა და ცეზარი ერთბამად გამოერკვა ფიქრებიდან.

სასამართლო პროცესი დიდხანს გაგრძელდა. ცეზარი დარწმუნდა, რომ უგულო ხალხი სულაც არ ყოფილან ეს პროკურორები და მოსამართლეები. ენდნენ, დაჯერეს ბიჭის წრფელ სიტყვას და ქურდობის ბრალდება მოუხსნეს, როგორც დაუსაბუთებელი.

იმ სასამართლო პროცესის შემდეგ დიდი დრო გავიდა, ახლა ცეზარი, სანანულით იგონებს თავის საქციელს. არა, ასე არ უნდა მოჰქცეოდა მამას, რაც უნდა იყოს, მას სხვა ოჯახი ჰქონდა, მყუდროებას ვურღვევდი, და როცა ამას გიიხსენებს, მუდამ თვალწინ უდგას პატარა ძამიკო გია (მამის მეორე ცოლისაგან), „მის მყუდროებას და ბედნიერებას უნდა გავფრთხილებოდი“.

აკი მამაც მუდამ ამას იმიზეზებდა: „რა გინდათ, თავი დამანებეთ, ვერ შეეთვისე დედათქვენს და იძულებული გავხდი წავსულიყავი, ახლა დედის წაქეზებით მეორე ოჯახიც გინდათ დამინგრეოთ!“ — მაგრამ თურმე აქაც ტყუოდა იგი. მალე მეორე ოჯახზეც აიყარა გული და ახალი საცოლის ძებნას შეუდგა, იპოვნა კიდეც. დაიწყო „სიყვარულის“ ახალი ისტორია და მეორე მხრივ ახალი ოჯახური დრამა. ამბობენ ამ დრამებში მთავარ როლს გიორგის და ასრულებსო. კვლავ ჩხუბი, საჩივარი, სასამართლო. ბოლოს ყველაფერი ეს იმით დამთავრდა, რომ გიორგი იასუშვილი მეორე ცოლთანაც განქორწინდა და, მესამესთან დაქორწინდა, ხოლო პატარა გია უმამოდ დარჩა. მერე მოხდა ისე, რომ ბავშვი მამამ წაიყვანა ალსაზრდელად და ახლა დედის ნახვა სანატრელი გაუხდა 5 წლის ბიჭუნას.

ასე გულგრილად და დაუფიქრებლად დაშალა და დაანგრია გიორგი იასუშვილმა ორი ოჯახი, ასე დაურღვია მან შვილებს ოჯახური მყუდროება და ბედნიერება.

რატომ უნდა იზრდებოდნენ მისი შვილები ობლებივით, ერთნი უმამოდ, მეორენი უდედოდ? განა ცოტა დაეკლდა ცეზარსა და თემურს, მათს აღზრდას უმამოდ, ან რატომ უნდა იყოს გია — 5 წლის ბიჭუნა — მოკლებული დედის ალერსსა და მზრუნველობას.

დაფიქრებული კი ამაზე ოდესმე სერიოზულად გიორგი იასუშვილი, კაცი, რომელიც სასწავლო ნაწილის გამგედ მუშაობს თბილისის 62-ე საშუალო სკოლაში და რამდენიმე წელია ახალი თაობის აღზრდის საქმეს ემსახურება? დავიჯეროთ, რომ ნამდვილად კარგი პედაგოგი და კარგი აღმზრდელია. კაცი, რომელმაც საკუთარი შვილი წარბშეუხრელად დასვა ბრალდებულის სკამზე, ისე რომ სინდისის ქეჯნაც არ უგრძნია? არა გვგონია.

მ. მიქაძე,
გ. ხეჩუაშვილი.

ტოლიატის გამოსვლა

რომი, 8 აპრილი. (საქდესი). გუშინ იტალიის დეპუტატთა პალატაში დამთავრდა ქამათი ახალი მთავრობის საპროგრამო განცხადების გამო, პალატის ერთ-ერთ სხდომაზე გამოვიდა იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი პალმირო ტოლიატი, რომელმაც აღნიშნა, რომ ტამბრონის მთავრობა წინანდელი მთავრობის უარესი ვარიანტია. თუ სენიის მთავრობა, განაცხადა ტოლიატიმ, გადადგა, რათა აშკარად არ დაეკავშირებინა თავისი ბედი ნეოფაშისტების მხარდაჭერასთან, ტამბრონი, როგორც ჩანს, ნეოფაშისტების მხარდაჭერაზეც კი თანახმაა, ოღონდ მიიღოს უმრავლესობა.

შეიხო რა ამ ცდების ჩაფშვრას, რომ შემდგარიყო კოალიციური მთავრობა ქრისტიანულ-დემოკრატიული, სოციალ-დემოკრატიული და რესპუბლიკური პარტიების მონაწილეობით, ტოლიატიმ აღნიშნა, რომ ეს ჩაფუშვა გამოწვეული იყო მსხვილ მრეწველთა და კლერიკალთა ჩარევით. შემდეგ ტოლიატიმ ხაზი გაუსვა შინაგან წინააღმდეგობებს ქრისტიანულ-დემოკრატიულ პარტიაში და აღნიშნა, რომ ეს პარტია ერთიანულოვანია მხოლოდ თავის მისწრაფებაში შეინარჩუნოს მონოპოლიური ხელისუფლება ანტიკომუნისტური პოლიტიკის ლოზუნგით.

ტოლიატიმ განაცხადა, რომ კომუნისტები ხმას მისცემენ ტამბრონის მთავრობის წინააღმდეგ და გააჩაღებენ მტკიცე ბრძოლას მის წინააღმდეგ, იქდებიან შექმნან ახალი უმრავლესობა და ამხილონ ანტიკომუნისტური პოლიტიკა.

ჰუსეინი სენტოს ყუდეში

ირდანიის მეფე ჰუსეინის გამგზავრებას ირანში, რომელიც სენტოს აგრესიული ბლოკის მონაწილეა, დიდი სიფრთხილით შეხვდნენ აღმოსავლეთის ქვეყნებში, სადაც კარგად ცნობილია, რომ ირდანიის მონარქი დასავლეთის იმპერიალისტური პოლიტიკის მომხრეა.

ეს ვიზიტი მოხდა იმ მომენტში, როცა აღმოსავლეთში კვლავ აქტიურდებიან ძალები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას. უბადღებული „კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლის“ საფარით ამზადებენ შეთქმულებებს აღმოსავლეთის დამოუკიდებელი ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებიც დაადგნენ დამოუკიდებელი განვითარების გზას, და ცდილობენ აიცდენონ ისინი ნეიტრალიტეტის პოზიციის, რათა ჩაებან სამხედრო ბლოკებში. ამ ზრახვების განხორციელებას მიეძღვნა ამას წინათ ლაპორში სეატოს ეგრეთწოდებული ანტიკომუნისტური „სემინარი“. ასეთივე მიმართულებით მიმდინარეობდა სეატოს სემინარის შემდეგ თურქეთის, ირანისა და პაკისტანის — მეორე აგრესიული ბლოკის სენტოს მონაწილე სახელმწიფოთა მეთაურების ლაპორის თათბირი.

ახლა სენტოს ძირგამომთხრელი საქმიანობის ცენტრი ხდება თეირანი. ირანის დედაქალაქში ზედიზედ იწვევენ სენტოს სხვადასხვა ჯგუფის, კომისიისა და კომიტეტის სხდომებს, ხმაურს ტეხენ იმასთან დაკავშირებით, რომ ამ თვის დამლეგს გაიმართება ამ პაქტის მინისტრების საბჭოს სესია. მთელი ამ ხმაურით მალავენ იმპერიალისტთა დიდ შიშს იმის წინაშე, რომ აღმოსავლეთის ხალხები მშვიდობას ესწრაფვიან. მშვიდობიანი თანაარსებობის იდეების გამარჯვება გამანადგურებენ ლახვარს სცემს აგრესიული ბლოკების პოლიტიკას. დიდ კრიზისს განიცდის ახლა სენტოს სამხედრო-პოლიტიკური ბლოკიც, რომლის ორგანიზატორები გიფაცებენთ ეძებენ საშველებას, რათა როგორმე ახალი ძალები შემატონ მას.

მოემზადებენ რა დროების სულისკვეთების საწინააღმდეგოდ, სენტოს ხელმძღვანელები კვლავ აძლიერებენ საომარ მზადებას, მათი ქვეყნების ტერიტორიაზე იქმნება უცხოთის სამხედრო ბაზები, აღჭურვილი რაკეტული იარაღით. მაშინ, როცა მთელ მსოფლიოს აღელვებს განიარაღების პრობლემები, სენტოს ბლოკის მონაწილენი მოლაპარაკებას აწარმოებენ თავიანთი შეიარაღებული ძალების გაერთიანებისა და ერთიანი სარდლობის შექმნის შესახებ. ეს საკითხი განიხილა შუა აღმოსავლეთის სამი სახელმწიფოს მეთაურთა ლაპორის თათბირმა და იყო სენტოს სამხედრო კომიტეტში სამი დღის მოლაპარაკების საგანი.

მაგრამ შეთანხმება ვერ მოხერხდა, რადგან არც ერთმა მხარემ არ გამოიჩინა ნდობა სხვებისადმი. ცნობილია, რომ გაერთიანებული ძალების მთავარსარდლის პოსტზე პრეტენზიას აცხადებდა ირანის შაჰი, მაგრამ ამ კანდიდატურას, როგორც ჩანს, მხარი არ დაუჭირეს პაქტის სხვა მონაწილეებმა. წინააღმდეგობანი იმდენად ღრმა აღმოჩნდა, რომ პაკისტანის გაზეთი „დოონი“ იძულებული იყო დაეწერა, რომ შესაძლოა საესებით ჩაიშალოს ერთიანი სარდლობის შექმნის მთელი იდეა. თეირანში კონფლიქტის მოსაგვარებლად მიდის თვით ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჰერტერი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს სენტოს საბჭოს მომავალ სესიაზე. ირანის გაზეთ „ქეიჰანის“ გულახდილი აღიარებით, „გაერთიანებული სამხედრო სარდლობის შექმნის გასაღები ამერიკის ხელშია“.

სენტოს სამხედრო გეგმებს სავსებით შეესაბამება მეფე ჰუსეინის მისწრაფება, რომ უფრო მჭიდროდ დაუკავშიროს თავისი ქვეყანა ამ აგრესიული ბლოკის პოლიტიკას. უცხოეთის პრესა ამაზე საკმაოდ გულახდილად ლაპარაკობს. თეირანის ეუონალ „ხანდანიას“ აზრით, „თავისი ვიზიტის დროს (თეირანში) ჰუსეინი გადადგამს ნაბიჯებს სენტოს ჰაქტთან დასაახლოებლად“. გაზეთი „ქეიჰანი“ იმოწმებს ირანის პოლიტიკურ წრეებს და აცხადებს, რომ თეირანის მოლაპარაკების მსვლელობაში „მომზადდება ნიადაგი ეს ტოსთან ირდანიის თანამშრომლობისათვის“.

ნიადაგს ასეთი „თანამშრომლობისათვის“ ირდანის რეაქცია ამზადებს იმით, რომ ირდანიაში ამყარებს სასტიკი პოლიციური ტერორის რეჟიმ

სპორტისტთა მოკითხვა ერთიანული ბილეთებით

ᲚᲐᲛᲐᲖᲘ, ᲢᲔᲛᲞᲘᲐᲜᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ!

ᲒᲣᲨᲘᲜ რედაქცია მოსკოვში ტელეფონით დაუკავშირდა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის მდივანს სსრ კავშირის სპორტის დამსახურებულ ოსტატს ვ. მოშპარაკინს.

მან გვაცნობა:

სსრ კავშირის XXII ჩემპიონატი არსებითად განსხვავდება გასული პირველობისაგან. ოქროს მედლებისათვის ბრძოლის დებულებაში თვალსაჩინო ცვლილებებს ვხედავთ, რაც სპორტსმენთა კოლექტივებს, ფეხბურთელებს ახალ მოთხოვნებს უყენებს. უნდა ვივარაუდოთ, რომ სპორტსმენთა სახელმოხვეჭილ კოლექტივებთან ერთად ამ დიდ ბრძოლაში თავს გამოიჩენენ დებიუტანტები — „ბ“ კლასიდან გადმოსული გუნდები.

9 აპრილს, თქვენს ლამაზ ქალაქში, აგრეთვე ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქების ცენტრალურ სტადიონებზე აღმართავენ სსრ კავშირის XXII პირველობის გათამაშების ალამს. სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაცია ჩემპიონატის მონაწილეებს ულოცავს ამ ზეიმს და უსურვებს მათ ახალ წარმატებებს შემოქმედებითს შრომაში.

ფეხბურთის სპეციალისტები, სპორტის მოყვარული საზოგადოებრიობა თბილისის დინამოელებისაგან მოელიან მათთვის ჩვეულ მაღალტექნიკურ, ლამაზ, ტემპიან თამაშს.

წარმატებითს სტარტს ვუსურვებ თბილისის დინამოელებს. დე მათი სატურნირო ცხრილი დამშვენდეს გამარჯვების ქულებით.

იწყება დიდი ფეხბურთის სეზონი

ა. ჟორდანია,
თბილისის „დინამოს“ უფროსი მწვრთნელი.

სეზონის გახსნა, ჩემპიონატის სტარტი მწვრთნელთათვის ბრძოლის ერთ-ერთი ყველაზე პასუხსაგები ეტაპია. ცხადია, სტარტის წარმატებასა თუ წარუმატებლობაზე ბევრია დამოკიდებული.

დინამოელებს გამარჯვების რწმენა აქვთ, მაგრამ ჩვენი დღევანდელი მეტოქეებიც ხომ ასეთივე განწყობილებით ჩამოვიდნენ თბილისში! „ბ“ კლასის გუნდები, რომლებმაც შეავსეს „უძლიერესთა ოჯახი“ და ნაკლებად ცნობილი არიან „ა“ კლასის მკვიდრთათვის, ალბათ ბევრ უსიამოვნებას მიაყენებენ სახელმოხვეჭილ კოლექტივებს. სწორედ ამათთან არის საჭირო მეტი სიფრთხილის გამოჩენა, მეტი მონდომება.

როგორც ცნობილია, ჩვენთან ერთად პირველ ქვეჯგუფში გამოდიან გასული წლის ჩემპიონები — დედაქალაქის დინამოელები, დონის როსტოვის სკკო, მოსკოვის „ტორპედო“, ლენინგრადის „ზენიტი“, კიშინიოვის „მოლდოვა“, ხარკოვის „ავანგარდი“, ტაშკენტის „პახტაკორი“, ერევნის „სპარტაკი“, რიგის „დაუგავა-რვ“ და ტალინის „კალევი“. ამ ქვეჯგუფში სამეული გასვლა ადვილი საქმე როდია, ხოლო შემდეგ ფინალში უძლიერესთა ექსკლუზიურში ბრძოლა მთელი წლის შრომის შემაჯამებელი იქნება.

თბილისის დინამოელთა წარმატება გასულ სპორტულ სეზონში შემთხვევითი არ იყო. მაგრამ ამ წარმატებას შენარჩუნება და განმტკიცება უნდა. ჩვენ კარგად გვაქვს შეგნებული და გვსურს გავამართლოთ მაყურებელთა იმედები.

„ავანგარდი“ ახალგაზრდა, მონოლითური კოლექტივია. საკონტროლო მატჩებში გამარჯვება კიევის „დინამოსთან“ და „ყირილია სოვეტოვთან“ (2:1), ფრე (0:0) დონის როსტოვის სკკო-სთან თავისთავად მეტყველებს ამ გუნდის ძლიერებაზე.

ა. ჟორდანია ა. პონომარიოვი

* * *

რა გაეწყობა — ძალას ძალა უნდა დავუპირისპიროთ. როგორც იტყვიან, ჰა ბურთი, ჰა მოედანი!

ა. პონომარიოვი,
ხარკოვის „ავანგარდის“ უფროსი მწვრთნელი.

თბილისი და მისი სტადიონი ჩემთვის უცნობი როდია. აქ, ამ მოედანზე არაერთხელ გამოვსულვარ, კარგი მახსოვს და დამარცხების შემდეგ გასახდელში თავჩაქინდრული ჩასელაც.

ეს წარსული ეკუთვნის. ფეხბურთელი ბრძოლის აზარტში რომ შედის, მას მხოლოდ ბურთების გატანისა და საკუთარი კარის დაცვის სურვილი იტაცებს. ახლა ჩემი ხვედრი სულ სხვაა — უნდა ვიჯდე სათადარიგო მოთამაშეებთან ერთად დ 90 წუთს ვუცქირო, ჩავიწერო თამაშის მსვლელობა. კარგია, როცა შენი გუნდ წელში გამართული გამოიყურება, შინ არა გაქვს. მაგრამ თუ ეს პირიქით ხდ ბა?..

რომლის იმედი უნდა მქონდეს დღეს ამას ვერ გაგიმხელთ, ერთგვარი საიდუმ ლოებაა. მწამს, რომ „ავანგარდის“ ახალგაზრდა კოლექტივი „დინამოსთან“ ორთაბრძოლაში მთელი ძალების მობილიზაციას მოახდენს.

შაივ ზღვის სანაპირო კურორტებზ ჩვენ გავეცანით „ა“ კლასის ზოგიერ კოლექტივს. მათ შორის მეორე ქვეჯგუ ფისას, სადაც გამოდიან მოსკოვის „ლო კომოტივი“ და „სპარტაკი“, კიევის „დი ნამო“, ცსკმ, კუბიშევის „ყრილია სო ვეტოვი“, სტალინოს „შახტიორი“, ლე ნინგრადის „ადმირალტეეცი“, ალმა-ატ „კაირატი“, ბაქოს „ნეფტიანიკი“, მინს კის „ბელარუსი“ და ვილნიუსის „სპარ ტაკი“.

ამ შეხვედრებმა ჩვენი ძალების ერთ გვარი რწმენა მოგვცა. დავაკომპლექტეთ ძირითადი და დუბლშემადგენლობა, შ ვავსეთ ხარვეზები. ჩვენი დღევანდელ მოწინააღმდეგე — თბილისის „დინამო“ დიდი ტრადიციის კოლექტივია. გასულ სპორტულ სეზონში თბილისელებს მათს თამაშზე ბევრს წერდნენ და ა შემთხვევითი როდი იყო. განსაკუთრ ებით ძლიერად გამოიყურება თავდამს მელთა ხუთეული, სადაც გუნდის ხელ მძღვანელობას დიდი მანევრირების ს შუალება აქვს.

ხარკოვის „ავანგარდისათვის“ ეს მატჩ პასუხსაგები შეხვედრაა. ჩვენ გვინდ თბილისელებს კარგი თამაში ვუჩვენოთ.

სტრიქონები წარსულიდან

სრ კავშირის პირველობისა და თასის გათამაშების პირველი წელი იყო 1936 წელი. დინამოელთა ტრიუმფმა „ბ“ კლასში და უძლიერესთა რიგებში გამოჩენამ ბევრი განაცვიფრა. მას შემდეგ ისინი ჩემპიონობისა და თასისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში არიან, ჩვენი ქვეყნის ფეხბურთის მოყვარულთა სიმპათიით სარგებლობენ.

ახლა, როდესაც XXII ჩემპიონატის გახსნის საზეიმო საათები ახლოვდება, ზედმეტი არ იქნება მოვიგონოთ განვლილი პირველობანი, წარუშლელი მატჩები, გადავხედოთ, რას წერდნენ გაზეთები.

ფეხბურთის მოყვარულთა უფროსი თაობის წარმომადგენლებს უთუოდ კარგად ახსოვთ საფეხბურთო მოედნის ვეტერანთა თამაში — მეკარე ა. დორონინი ლამაზი ნახტომები, ბ. ფროლოვის „საჰეიო დეელი“, შ. შავგულიძის ბობოქარობა საჯარიმო მოედანზე, მ. ბერძენიშვილის საიდუმლოებით მოცული 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა, ბ. პაიჭადისა და გ. ჯეჯელავას ვირტუოზული ფინტები. ვინ მთვლელს, კიევე რამდენ დინამოელს გამოუჩენია თავი განვლილ ბრძოლებში.

დინამოელთა სახელოვანი გზა მჭიდროდ არის დაკავშირებული მათს ახლანდელ და ყოფილ მწვრთნელებთან — ლიშბეკოთან, ბუტუსოვთან, იაკუშინთან, ჟორდანიასთან და სხვებთან. ლიშბეკს წვრთნის თავისებური გეგმა ჰქონდა. ბევრჯერ უნახავთ იგი გავაშელთან, ფროლოვთან და სხვებთან ერთად თოფლთ დაფარულ მოედანზე. მარტო ერთ ალეთზე — კუთხურ დარტყმაზე მწვრთნელი საათობით ავარჯიშებდა გარემაბს, ხოლო ფროლოვს — ბურთის მიღებაზე, თავური დარტყმაზე...

თბილისის დინამოელთა მატჩების თვალსაჩინო ნაწილი სამამულო ფეხბურთის ისტორიაში შესულია, როგორც ცეცხლოვანი ბრძოლის ნიმუში, მაგრამ ერთ-ერთი შეხვედრა, კერძოდ — ცდკა-სა და თბილისის „დინამოს“ ორთაბრძოლა, გაუნუმორებელ შთაბეჭდილებას ტოვებს.

ეს მოხდა 1939 წლის პირველობის მეორე წრეში, თბილისის „დინამოს“ სტადიონზე. არმიელი ფეხბურთელებისათვის ერთი ქულაც კი საკმარისი იყო მეორე ადგილის მოსაპოვებლად. მოსკოველებმა თამაში ააწყეს, ირიშს ირიში მოსდევდა. შ. შავგულიძემ ვერაფერი გააწყო კაპელკინთან და შჩერებატენკოსთან ბრძოლაში, დინამოელებმა ტაიმი 1:4 წააგეს.

ხმები გავრცელდა, არმიელებმა სასწრაფოდ დეპეშა გაგზავნეს, მატჩი მოიგეთ, მეორე ადგილი უზრუნველყოფილი გვაქვსო.

ამბავი რისი მოლოდინი უნდა ჰქონოდათ მაყურებლებს? ზოგიერთმა ხელი ჩაიქნია და სტადიონი დატოვა.

მეორე ტაიმი. შავგულიძე მინჯიამ შეცვალა. ეს მისი პირველი ნათლობა იყო. ბრძოლის სურათი შეიცვალა. ბერძენიშვილის პენალტი — 4:2, ხარბედიას 2 ბურთი — 4:4. თამაშის წუთები მიიწურა, მსაჯი წამმზომს ათვალიერებს, მაგრამ ლამაზი ფინტებით, ცრუ მოძრაობით ჯეჯელავა შეიჭრა მეტოქეთა საჯარიმო მოედანზე, და მეხუთე ბურთი არმიელთა კარში აღმოჩნდა.

5:4 თბილისელთა სასარგებლოდ, ნამდვილად განუმეორებელი მატჩი იყო, ბევრს იგი დღესაც თვალწინ უდგას.

მოსკოველებმა თბილისის „დინამოს“ ახალგაზრდა კოლექტივი პირველად 1936 წლის შემოდგომაზე გაიცნეს. მაშინ ოქროს მედლებისათვის მებრძოლთა რიგებში გარდა თბილისელებისა გამოდიოდნენ მოსკოვის „დინამოს“, ცდკა-ს, „სპარტაკისა“ და „ლოკომოტივის“, კიევის „დინამოს“, ლენინგრადის „კრასნაია ზარიასა“ და „დინამოს“ გუნდები.

მაშინ თბილისელთა რიგებში იყვნენ ა. დოროხოვი, შ. შავგულიძე, ე. ნიკოლაშვილი, ვ. ჯორბენაძე, ბ. ბერძენიშვილი, გ. გაგუა, ი. პანინი, მ. ბერძენიშვილი, ბ. პაიჭაძე, მ. ასლამაზოვი, ნ. სომოვი და სხვ.

პირველი ტურნე დედაქალაქში თბილისელებმა წარმატებით ჩაატარეს — დაამარცხეს მოსკოვის „სპარტაკი“ და ცდსა 1:0, 4:0. ხოლო დინამოსთან მატჩი ფრედ 1:1 დაამთავრეს.

მაშინ ჩემპიონი გახდა მოსკოვის „სპარტაკი“. „კრასნი სპორტში“ „სპარტაკის“ გუნდის კაპიტანი ა. სტაროსტინი წერდა: ... თბილისის „დინამოსთან“ „სპარტაკმა“ დამარცხების სიმწარე განიცადა, რომელიც ერთიანდერთი იყო შემოდგომის სეზონში“.

საქართველოს გაზეთ „ფიზკულტურელში“ ამავე სეზონის შესახებ ვკითხულობთ: „კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს თბილისის „დინამოს“ როგორც ცალკეული ფეხბურთელების, ისე მთელი გუნდის უდავო ზრდა, მტკიცე ამხანაგური ურთიერთგაგება, მჩქეფარე ტემპერამენტი“.

და განა ერთი ან ორი ასეთი შეხვედრის ჩამოთვლა შეიძლება? დინამოელთა საბრძოლო გზა საამაყო ტრადიციით არის გავლილი. ისინი არაერთხელ იყვნენ პრიზიორთა რიგებში — 1936 წლის შემოდგომაზე — მესამე ადგილი, 1939 და 1940 წლებში — მეორე ადგილი, 1946, 1947 და 1950 წლებში — მესამე ადგილი, 1951 და 1953 წელს — მეორე ადგილი, 1959 წელს — მესამე ადგილი.

ვიგონებთ რა ამ გზას, კერძოდ უკანასკნელ 1959 წლის საფეხბურთო სეზონს, გვკერა, რომ სამამულო ფეხბურთის ქართველი მემკვიდრეები არაერთხელ გაგვახარებენ, ახალ სახელოვან ფურცლებს ჩაწერენ დიდი ფეხბურთის ისტორიაში.

ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲡᲐᲭᲐᲓᲠᲐᲙᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲒᲐ

ნ. ᲒᲐᲨᲠᲘᲜᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ — ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. 8 აპრილი. (სპეც. კორ.). გუშინ აქ შედგა საქართველოს 1960 წლის პირველობის გათამაშების უკანასკნელი ტური ჭადრაკში ქალთა მ რის.

ეს ტური ჩემპიონატის ყველაზე შ დეგიანი აღმოჩნდა. ამ დღეს ყველა პარ ტია დამთავრდა. ოსტატმა ნ. გაფრინდ შვილმა, რომელსაც ჯერ კიდევ ადრ უზრუნველყოფილი ჰქონდა პირველ ადგილი და ჩემპიონობა, გათამაშება ცხრილში მორიგი ქულა ჩაიწერა, ამჯ რად მისი მოწინააღმდეგის ლ. ნაჭყებ დაგვიანებით გამოცხადების გამო.

ამრიგად, საქართველოს 1960 წლ ჩემპიონმა ჭადრაკში ქალთა შორ ნ. გაფრინდაშვილმა მთელ შეჯიბრებ ში მხოლოდ ერთი ყაიმი გააკეთა და 15 შესაძლებლიდან 14,5 ქული შეაგროვა.

დანარჩენ შეხვედრათა შედეგები ასე თია: მ. ტოგონიძემ დაამარცხა ვ. კ რეშვილი, ა. ჩაკოვსკაიამ — ი. გეფინ გ. ბუცხრიკიძემ — მ. ლოლიშვილი, ე გოგიავამ — ო. შათირიშვილი, ს. ივანო ვამ — ნ. ჯანშია. ნ. ჯანგველაძე - ნ. მა ველოვას და გ. ბებიაკა - ვ. ჩომახიძ პარტიები ყაიმით დამთავრდა.

ამ შედეგებით მთლიანად შეიკრა ჩემ პიონატის ცხრილი. მეორე და მესამ ადგილები თერმეტ-თერთმეტი ქულ გაიყვეს მ. ტოგონიძემ და ა. ჩაკოვსკა იამ. მეოთხე ადგილზეა გ. ბუცხრიკიძ (9,5 ქულა). მეხუთე, მეექვსე და მეშვ დე ადგილები გაინაწილეს ქ. გოგიავამ ლ. ნაჭყებიამ და ნ. ივანოვამ. თვითო ულმა მათგანმა 9 ქულა შეაგროვა. ნ ჯანგველაძეს 7,5 ქულა აქვს, გ. ჩომახი ძეს — 7 ქულა, მ. ლოლიშვილსა და ნ მანველოვას — ექვსნახევარ-ექვსნახევა რი ქულა.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲠᲜᲘᲖᲝᲜᲘᲡ ᲙᲝᲛᲔᲜᲓᲐᲜᲢᲘᲡᲐᲒᲐᲜ

ქალაქ თბილისის გარნიზონის უფროსის ბრძანებით თბილისის გარნიზონის ჯარის ნაწილები, დაწესებულებები და სამხედრო სასწავლებლები 1960 წლის 10 აპრილიდან ადადიან ტანსაცმლის საფეხბურთო ფორმაზე.

რედაქტორი
დ. მჟელიშვილი.

ᲛᲘᲡᲮᲝᲚᲝᲓ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

◉ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდს 35 წლის ისტორია აქვს. იგი ჩამოყალიბების ორი წლის შემდეგ — 1927 წელს საქართველოს ჩემპიონი გახდა, ხოლო 1928 წელს — ამიერკავკასიის ჩემპიონი.

◉ საკლუბო გუნდებს შორის საკავშირო ჩემპიონატის ჩატარება 1936 წელს დაიწყო. საგაზაფხულო ტურნირი თბილისის დინამოელებმა წაუგებლად ჩაატარეს და საშემოდგომო ტურნირში „ა“ კლასის გუნდებთან ასპარეზობის უფლება მოიპოვეს.

◉ საბჭოთა კავშირის თასზე თბილისის „დინამომ“ სამ-სამჯერ მოიპოვა ფინალურ და ნახევარფინალურ შეხვედრებში მონაწილეობის უფლება.

◉ შარშანდელ სეზონში ყველაზე მეტი ბურთი (48) გაიტანეს თბილისის დინამოელებმა, ხოლო ყველაზე მეტი ბურთი (3) ერთ თამაშში — ვ. ბარქაიამ (მოსკოვის „სპარტაკთან“).

◉ დინამოელებს ჩატარებული აქვთ 61 საერთაშორისო მატჩი. აქედან ქართველმა ფეხბურთელებმა 35 გამარჯვება მოიპოვეს, 15 თამაში წააგეს და 11 ფრედ დაამთავრეს.

◉ თბილისის დინამოს უფროსმა მწვრთნელმა სსრ კავშირის სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ა. ჟორდანიამ ფეხბურთის თამაში 1921 წლიდან დაიწყო. 1937 წლამდე თამაშობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თბილისის „დინამოს“ გუნდებში. შედიოდა თბილისის, საქართველოს, ამიერკავკასიისა და სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებში, გამოდიოდა საერთაშორისო შეხვედრებში.

Მ. ᲑᲝᲢᲕᲘᲜᲘᲙᲘᲡ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲐ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. 8 აპრილი. (ტელეფონით „კომუნისტის“ სპეც. კორ.). ცნობილია, მ. ბოტვინიკი სახელგანთქმულია გადადებული პოზიციის ანალიზით. მსოფლიო ჩემპიონის პრაქტიკაში არაერთხელ ყოფილა ისეთი შემთხვევა, როდესაც მას პარტიის ზუსტი გარჩევით თავი დაუღწევია მძიმე მდგომარეობიდან.

ამიტომ, როდესაც მატჩის მე-11 პარტია მატერიალურად თანაბარ მდგომარეობაში გადაიდო, ავტორიტეტთა აზრით თეთრების ინიციატივა გამარჯვებისათვის საკმარისი არ იქნებოდა. მაგრამ, გამოირკვა, რომ ამჯერად მ. ბოტვინიკს ჩაწერილი ჰქონდა პასიური სვლა — ლf8, ყაიმის შანსებს კი მხოლოდ d6g4 იძლეოდა.

გადადებული პარტიის დამთავრებისას რიგელმა გროსმაისტერმა კარგად გამოიყენა შავების ფიგურათა შეკვეწროებული განლაგება და გონებამახვილური სვლით — კუს დროებით შეწირვით 2 პაიკი მოიგო. ბრძოლა ლაზიერების დაბოლოებაში გადავიდა, საჭადრაკო დაფაზე შექმნილი ვითარება მსოფლიო ჩემპიონისათვის კატასტროფული აღმოჩნდა. 71-ე სვლაზე მ. ბოტვინიკმა თავი დამარცხებულად ცნო.

ეს რიგელი გროსმაისტერის მეოთხე გამარჯვებაა. 11 პარტიის შემდეგ მატჩის ანგარიშია 6,5:4,5 მ. ტალის სასარგებლოდ.

9 აპრილს შედგება მატჩის მე-12 პარტია. თეთრებით ითამაშებს მ. ბოტვინიკი.

ვ. რაბინოვიჩი,
საერთაშორისო გროსმაისტერი.

ᲒᲐᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲐ

41.... ef8? 42. ee3 md5 43. e:f7 e:f7 44. ee5 mc7 45. ec5! ef3 46. g:h7+! g:h7 47. eg5+ mgh8 48. ed8+ mgg7 49. e:h7+ mg:h7 50. e:c7+ mgg6 51. e:b7 ee4 52. ea6! eb1+ 53. mgg2 ee4+ 54. mgf1 eb1+ 55. mge2 ec2+ 56. mgf3 ef5+ 57. mge3 eg5+ 58. mge2 eh5+ 59. mgd2 mgf6 60. e:c6 ea5+ 61. ec3 e:a2+ 62. mge3 mgf7 63. d5 ed 64 ec7+ mge6 65. ec6+ mge7 66. e:d5 ea1 67. ee4+ mgf7 68. mgf4 ec1+ 69. mgg4 ea1 70. ed5+ mgf8 71. mgf5 შავები დანებდნენ.

Გ. ᲒᲣᲠᲒᲔᲜᲘᲫᲔ—ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ. 8 აპრილი. (სპეც. კორ.). დღეს გაიმართა საქართველოს პირველობის გათამაშების უკანასკნელი მე-19 ტური ჭადრაკში ვაჟთა შორის.

ა. ბლაგიძემ დაამარცხა ა. გაგუა, დ. ჯანიევმა — ჰ. არნშტეინი, ი. ვეტოხინმა — გ. ჭანტურია. ე. გერსმიანა. ბუსლაევის, ბ. გურგენიძე-ს. მეგრელიშვილის, თ. კიკინი-რ. შეინცვიტის და ჯ. ბერაძე-ა. რაზოვსკის პარტიები ყაიმით დამთავრდა. 3 პარტია გადაიდო.

ამრიგად, საქართველოს 1960 წლის ჩემპიონი გახდა ოსტატი ბ. გურგენიძე, რომელმაც დაუმარცხებლად ჩაატარა შეხვედრები და 19 შესაძლებლიდან 15,5 ქულა შეაგროვა. მეორე და მესამე ადგილები გაიყვეს ა. ბლაგიძემ და დ. ჯანიევმა (13,5 ქულა თვითეულს). მეოთხე ადგილი დაიკავა რ. შეინცვიტმა (12,5 ქულა).

ხვალ მოეწყობა გადადებული პარტიების დამთავრება და ჩემპიონატის საზეიმო დახურვა.

ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘ ᲡᲔᲖᲝᲜᲘᲡ ᲬᲘᲜ

ᲓᲐᲓᲒᲐ ესოდენ სანატრელი დრო — ფეხბურთის ახალი სეზონი. გულშემატკივრებს, როცა ისინი მომავალ ბრძოლებზე ფიქრობენ, აინტერესებთ, თუ როგორ ხვდება „დინამოს“ სტადიონი 1960 წლის საფეხბურთო სეზონს, როგორ მოემსახურება იგი მაყურებლებს, რა სიახლენი აქვს მათთვის.

თბილისის „დინამოს“ სტადიონის დირექტორმა, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა შ. შაგულიძემ ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

ახალი სეზონის წინ მოხდა სტადიონის ნაწილობრივი რემონტი — შევაკეთეთ ფეხბურთის მოედანი, საჯარიმო ადგილები, დარბაზები, უკეთ მოვაწყეთ სტადიონის ტერიტორია.

მიმდინარე სეზონში დაიწყება სტადიონის კაპიტალური რემონტი, რეკონსტრუქცია-აღდგენა, გაფართოება. ეს საშუშაოები დამთავრდება 1961 წლის სეზონისათვის. საჯდომი ადგილების რაოდენობა 60.000-მდე გაიზრდება. პროექტის მიხედვით შენობის ამჟამად არსებული ტერიტორია წრიულად 11 მეტრით გაფართოვდება, ნაგებობას დაედგმება მეოთხე იარუსი. საშუშაოები იწარმოებს სტადიონის ექსპლოატაციის შეუწყვეტლად. წელს დაიხარჯება 5 მილიონი მანეთი.

იქნება სხვა სიახლენიც. ჩრდილოეთ ტრიბუნაზე დაიდგმება სპეციალური საათი, რომელიც აჩვენებს როგორც ასტრონომიულ, ისე წმინდა საფეხბურთო დროს, ტაიმების მსვლელობას.

წელიწადზე მეტია სტადიონის ნაგებობა სპეციალისტების სისტემატური მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება. მათი დასკვნით, წელს შეუძლებელია გაიყიდოს შესასვლელი (ფეხზე დასადგომი) ბილეთები. გაიყიდება მხოლოდ 23.000 დასაჯდომი ადგილი.

თბილისელი მაყურებელი ცნობილია სტუმართმოყვარეობითა და ობიექტურობით. იმედია, ისინი წელსაც არ უღალატებენ თავიანთ ამ კარგ ტრადიციას.

პირველობის გათამაშების დებულებაში შეტანილია ცვლილება, რომლის თანახმად მსაჯს შეუძლია დამარცხება ჩაუთვალოს მასპინძელ გუნდს (თუნდაც ანგარიში მას მიჰყავდეს) იმ შემთხვევაში, თუ მოედანზე უწესრიგობა და ხულიგნური გამოხდომები იქნება. ასეთი უსიამოვნება რა თქმა უნდა, არავითარ შემთხვევაში არა სურთ თბილისელ მაყურებლებს. ამიტომ იმედი გვაქვს, რომ თვითეული მათგანი დაგვეხმარება სრული წესრიგის დამყარებაში.

ვუსურვოთ ჩვენს სახელოვან გუნდს ახალი წარმატებანი.



რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და საბჭოთა შშენებლობის — 3-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის, მრეწველო ბისა და ტრანსპორტის — 3-57-61, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, მეცნიერების, უმაღლესი და საშუალო სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, წერილებისა და პარტბიუროსი — 3-73-24, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, მუშსოფლკორთა კაბინეტის — 3-08-67, საილუსტრაციო — 3-20-43, განცხადებების მიღებისა — 3-64-42, გამომშვების — 3-06-88.

9 ᲐᲠᲘᲚᲘ

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ. ოპერისა და ბალეტის — აიდა (მე-8 აბონ. მე-10 წარმ.). რუსთაველის სახელობ. — ჰამლეტი, მარჯანიშვილის სახელობის — ორი ფერი, გრიბოედოვის სახელობის — ქიქა წყალი, მუსიკალური კომედიის — ჯერ დაიბოღინენ, მერე იქორწინეს (ოკინგზელთა სახლში), სანკულტურის — დაკარგული ბედნიერება, მოზარდ მაყურებელთა ქართული — ამბავი ორი ბიჭისა (აბონ. № 51, 7 ს.), თოჯინების ქართული — პოტაპიჩი (12 ს. და 4 ს.).

ᲙᲘᲜᲝᲗᲔᲐᲢᲠᲘ. რუსთაველის სახელობის, ამირანი — შფოთიანი მოსახვევები, ოქტომბერი, ისანი, საქართველო (წითელი დარბაზი), პლეხანოვის სახელობის კლუბი — განთიადის შესახვედრად, თბილისი — უსაქმურთა სკოლა, კომკავშრომელი, საქართველო (მწვანე დარბაზი), კოლმეურნე — ჩრდილს გაექცა, 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი), ოფიცერთა სახლი, ყაზბეგი, კომუნარების ბაღი — განკიცხულნი (მეორე სერია), ძერჟინსკის სახელობის კლუბი (საზაფხულო), დიდუბე, სარეწაო კოოპერაციის კულტურის სახლი — განკიცხულნი (პირველი სერია), 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი) — შორეულ ნაპირებზე, კოლხიდა — მანდილოსანი ძალლით, ჭავჭავაძის სახელობის კლუბი, გორკის სახელობის კულტურის სახლი — მეგობარ-ამხანაგები,, ძერჟინსკის სახელობის კლუბი (საზამთრო), გორკის სახელობის პარკი, თანამგზავრი —ჩვენ ვუნდერკინდები ვართ, სპარტაკი — განკიცხულნი (I-II სერია).

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ. 16.50 — ფეხბურთის მატჩის რეპორტაჟი „დინამოს“ სტადიონიდან (ერთმანეთს ხვდებიან „დინამო“ თბილისი და „ავანგარდი“ ხარკოვი), 18.45 — გადაცემა მოსწავლეთათვის: 1. „ბავშვთა თვითმოქმედება“ 2. „წიგნის თარო“, 19.30 — კინოჟურნალი, 19.40 — გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის, 19.50 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 20.40 — ექიმის საუბარი — „როგორ დავიცვათ ბავშვები წითელასაგან“ (სტუდიაშია პროფესორი კვიტაიშვილი), 20.50 — კინოჟურნალი, 21.00 — გადაცემა ციკლიდან „შემოქმედებითი პორტრეტები“ — გიორგი დავითაშვილი, 21.30 — უკანასკნელი ცხობები, 21.40 — მხატვრული ფილმი „ნასრედინი ხოჯენტში“.